სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი 19 ნოემბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული უნდა გამოგზავნონ: [illegible] ящ. 199. Редакція „Эртоба". [illegible] გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ. Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 250 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 250

დიდათ დამწუხრებულნი: მამა თედორე, ძმები: სტეფანე და პორფილე, დები: ლიზა და მარუსია ელიაძენი და სიძე ნიკიფორე სიხარულიძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ს. უჩხობში (გურია) ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ელენე თედორეს ასული ელიაძე,

რომლის დასაფლავება მოხდა ხუთშაბათს, 14 ნოემბერს.

გულ დათუთქული ძმის-წული სიმონ ალმასხანის ძე გაბუნია მწუხარებით აუწყებს ნაცნობთ და ნათესავთ, მისი გამზდელი ბიძის „ტიტულიარნი სოვეტნიკის"

სოლომონ სიმონის ძე გაბუნიას

გარდაცვალებას, რომლის ტირილი და უკანასკნელი გამოთხოვების დღე დანიშნულია სამშაბათს, 19 ნოემბერს (ახ. სტ.). დასაფლავება სოფელ ონოლიაში, იოანე ნათლის-მცემლის ეკლესიის გალავანში.

კატო ილიას ასული გაბუნიასი აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელ მეუღლის „ტიტულიარნი სოვეტნიკის"

სოლომონ სიმონის ძე გაბუნიას

გარდაცვალებას, რომლის ტირილი და უკანასკნელი გამოთხოვების დღე დანიშნულია სამშაბათს, 19 ნოემბერს (ახ. სტ.). დასაფლავება ს. ონოლიაში, იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის გალავანში.

გულ დათუთქულნი: სპირიდონ ალექსის ძე გუგუშვილი, მაკრინე გაბუნიას ასული, ილიკო და ხალამპრი სპირიდონის ძე გუგუშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 14 ნოემბერს, საკუთარ სახლში, ს. ონოლიაში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის ცოლის ძმა ხოლო უკანასკნელის საყვარელი გამზრდელი „ტიტულიარნი სოვეტნიკი"

სოლომონ სიმონის ძე გაბუნია

რომლის ტირილი და უკანასკნელი გამოთხოვების დღე დანიშნულია 19 ნოემბერს. დასაფლავება ს. ონოლიაში ივანე ნათლისმცემლის ეკლეს. გალავანში.

## რევოლუციის განვითარება

თავბრუდამსხმელ სისწრაფით ვითარდება ევროპის რევოლუცია. გვირგვინები პანტა-პუტით ცვივიან მიწაზე გვირგვინოსანთა თავებიდან. ყოვლის შემძლებელი ხელმწიფეები, რომელთა წინაშე მთელი კაცობრიობა შიშით ძრწოდა, დღეს ოპერეტის გმირებათ წარმოგვიდგებიან თვალწინ, რომ ის ისტორიული მომენტი, რომელსაც განიცდის მთელი კაცობრიობა, ასე ტრაგიკული არ იყოს. ყველასათვის ცხადი გახდა, რომ ის დიდება, ის ძლიერება და ყოვლის შემძლებლობა, რომელიც გვირგვინოსანთა „ღვთის მიერ" მინიჭებულ თვისებათ მიაჩნდა ფეტიშიზმით და ცრუ მორწმუნეობით გაჟღენთილ ქვეშევრდომთ, თვით ქვეშევრდომთა მიერ იყო შექმნილი და კვარცხლბეკზე დაყენებული. დღეს მოწინავე კაცობრიობას ფართო მასებმა უცბათ გაახილეს თვალები, თითქოს სიზმრიდან ერკვევიან და თავიდან იშორებენ ლამის მაჯლაჯუნასავით გულზე დაწოლილს მტარვალობას. ვილჰელმ მეორის შემდეგ სხვა გვირგვინოსანთა მოშორება უფრო ადვილი გახდა: მას მოჰყვა ტახტიდან გადადგომა ბავარიის, საქსონიის, ოლდენბურგის და სხვა გვირგვინოსნებისა, რომელიც, როგორც რეაქციონერები იკვეხიდნენ, „ღმერთმა დაასაჩუქრა გერმანია".

რევოლუციის ცეცხლის ალი მარტო დამარცხებული ქვეყნების ფარგალში არ ჩერდება. ის ისე ძლიერი გამოდგა, რომ ვერც გაუვალმა სანგრებმა, ვერც ხიშტების ტყეებმა, ვერც ციხე-სიმაგრეებმა, ვერც გამარჯვებულების ყურანით შექმნილმა ფსიხოლოგიამ ვერ შეაჩერეს მისი მსვლელობა: გამარჯვებულ კოალიციის სახელმწიფოთა შორის რევოლუციამ ჯერ იტალიაში იჩინა თავი. ვერ მოვასწარით იმედის გამოთქმა, რომ საფრანგეთის პროლეტარიატიც უნდა გამოეხმაუროს კლასიურ დროშის ქვეშ შეკრებილ სხვა ქვეყნების ამხანაგებს, რომ მოსკოვიდან მიღებულმა დეპეშამ გადმოგვცა შვეიცარიის დეპეშათა სააგენტოს შემდეგი ცნობა: „აღარ შეიძლება იმის დამალვა, რომ საფრანგეთში ორი დღის წინად დაიწყო მუშათა მოძრაობა, რომელიც ძლიერდება. ქვირას პარიზში დიდი მიტინგები და დემონსტრაციები მოხდა". პროლეტარიატი მოითხოვს პოლიტიკურ პატიმართა დაუყოვნებლივ განთავისუფლებას. მოძრაობა ფრონტზედაც დაწყებულა: დაარსებულა ჯარისკაცთა საბჭო, რომელსაც პირდაპირი მოლაპარაკება გაუმართავს გერმანელთა ჯარისკაცთა საბჭოსთან.

ამნაირათ, მთელი ევროპის კონტინენტი რევოლუციის ალში ეხვევა. დღეს შეიძლება დარწმუნებით ვთქვათ, რა სახეს მიიღებს საზოგადოებრივი მოძრაობა ახლო მომავალში: სისხლის ღვრა სახელმწიფოთა შორის დასრულდა; იწყება ბრძოლა კლასთა შორის, ე. ი. ევროპის საზოგადოებრივი განვითარება თავის დამახინჯებულ სახეს იცვლის და ჭეშმარიტ სახეს ღებულობს. მშრომელი და დაჩაგრული კლასები, რომლებიც სხვა და სხვა სახელმწიფოთა საზღვრებით იყვნენ ერთი ერთმანეთისაგან გათიშულნი, დღეს ერთმანეთს სცნობენ, ამ ზღუდეებს ანადგურებენ და ერთმანეთს ხელს უწვდიან. გაბატონებული კლასებიც, ეჭვი არ არის, ერთმანეთს დაეხმარებიან; ამის ნიშნებს კიდეც ვხედავთ: დროებითი ზავის ის პირობები, რომლებიც დაუდვეს გამარჯვებულ იმპერიალიზმის მესვეურებმა გერმანიის ხალხს, ნაკარნახევია გერმანიის რევოლუციის ჩახრჩობის და გაბატონებულ კლასების გამაგრების სურვილით; ის ბლოკადა, რომელსაც აწარმოებს საფრანგეთ-ინგლისის კოალიცია გერმანიის წინააღმდეგ, ეს არის გერმანიის ხალხის ბლოკადა, მისი დასუსტება.

რაკი საფრანგეთის და იტალიის მშრომელი ხალხი რევოლუციის დროშას ქვეშ ჩადგება, ეჭვი არ არის, იგი ნებას არ მისცემს თავის გაბატონებულ კლასებს, რომ ბლოკადის საშუალებით ებრძოლონ გერმანიის რევოლუციას. გამარჯვებულ იმპერიალისტურ რევოლუციას აკლდება ორი წევრი—საფრანგეთი და იტალია.

ევროპის სახელმწიფოთა შორის ამ კოალიციაში მხოლოდ ინგლისი რჩება. თუ ის ალი, რომელიც საფრანგეთის ფრონტზე გაჩნდა, ფრანგ ჯარისკაცთა სანგრებიდან მეზობელ ინგლისელ ჯარისკაცთა სანგრებშიაც გადავიდა, იმპერიალისტური კოალიცია საბოლოოთ დამარცხდება. შეიძლება, თუ არა, ამის იმედი გვქონიოთ?

ინგლისის მუშათა კლასში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, სოციალიზმი ფეხს ისე ვერ იკიდებდა, როგორც ევროპის სხვა ქვეყნებში. ეს იმით აიხსნება, რომ ინგლისს მსოფლიოში განსაკუთრებული ადგილი ეკავა: როგორც ერთად ერთი ზღვათა მბრძანებელი, იგი ყვლეფდა თავის კოლონიებს შეცხოვრებით და ამ ნაყვლეფში გაბატონებული კლასები წილს უდებდენ მუშათა კლასსაც. ინგლისის ბურჟუაზიამ პროლეტარიატს შეუქმნა ერთნაირი პრივილეგია სხვა სახელმწიფოების პროლეტარიატთან შედარებით და ამ პრივილეგიების საშუალებით ჩაჩუმებულ მუშების გულს სოციალისტური ლოზუნგები ისე არ ხვდებოდა, როგორც სხვა მოწინავე სახელმწიფოებში.

ბოლო ხანებში მდგომარეობა შეიცვალა. ინგლისის ბურჟუაზიის მონოპოლიას მსოფლიო ბაზარზე ბოლო მოეღო—გერმანიის და შეერთებულ შტატების კონკურენციის წყალობით, ინგლისის მუშათა კლასსაც მალე დაეტყო ეს გარემოება: მან აღარ ინდომა ბურჟუაზიის ბუქსირით სიარული, დაიარსა საკუთარი პარტია და საკუთარ პოლიტიკის წარმოება დაიწყო. პროლეტარიატის საკუთარი პოლიტიკა კი სტიქიურათ მიმართულია სოციალიზმისაკენ, სოციალიზმის გზას იგი ვერ ასცდება. სოციალიზმის გაძლიერებას ინგლისში უკვე ომის წინ ვამჩნევდით. ომისაგან მოქანცულ და მშვიდობიან ცხოვრების მონატრებულ ხალხში არ შეიძლება არ გაძლიერდეს უკმაყოფილება იმის გამო, რომ გაბატონებულ კლასებს, რომლებიც წინეთ მაღალ იდეალების განხორციელებას აწერდენ თავის საომარ დროშაზე, დღეს ცდილობენ ომი გადააქციონ აშკარა მტაცებლობათ და იარაღ დაყრილ მოწინააღმდეგეზე თავდასხმას აწარმოებენ. ეს უკმაყოფილება ინგლისის მუშებში და ჯარებში არ შეიძლება არ გაძლიერდეს იმ დროს, როდესაც მათ თვალ წინ ხდება უდიდესი ისტორიული მოვლენა—ყველა ქვეყნების პროლეტარების შერიგება და შეერთება. შეუძლებელი წარმოსადგენია, რომ 4 ნახევარ წლის ომისაგან მოქანცულმა ჯარმა არ მოინდომოს სახლში დაბრუნება იმ დროს, როდესაც მტერი აღარსად ჩანს; როდესაც ომმა ყოველი მიზანი დაჰკარგა. რაც უნდა რკინის ლეგიონები ჰყავდეს ინგლისის სახელმწიფოს, მეზობელი ფრანგი ჯარისკაცები რომ ფრონტიდან დაიძვრიან, მათაც არ შეიძლება არ მიჰბაძონ ფრანგების მაგალითს.

ევროპის კონტინენტზე მომხდარმა ამბებმა ყოველს იმედს და მოლოდინს გადააჭარბეს. დიდი სითამამე არ იქნება იმ იმედის გამოთქმა, რომ ამ ცოტა ხანში ინგლისის პროლეტარიატიც ჩაებმება ყველა ქვეყნების პროლეტართა ფერხულში.

## ერთა სოლიდარობა

საერთაშორისო ომის დაწყებამ ფრთები შეასხა სხვადასხვა ჯურის ნაციონალისტებს: იმ ფაქტში, რომ სახელმწიფოთა ჭიდილში დემოკრატიაც იღებდა მონაწილეობას, ნაციონალისტებმა ინტერნაციონალიზმის გაკოტრება ამოიკითხეს. და ეს ამბავი ქვეყანას ამცნეს.

ჩვენთვის გული არ გაუტეხია ამ მოვლენას, ერთხელაც არ შეგვპარვია ეჭვი, რომ ინტერნაციონალი არ მომკვდარა, მისი დაუძლურება მხოლოდ დროებითია. და ჩვენი ღრმა რწმენა იყო, რომ ხალხის ფართო მასსა, რომელიც ბურჟუაზიის ფეხის ხმას აჰყვა, ისევ გამოერკვევა სალათას ძილს და ისევ პროლეტარიატის ხელმძღვანელ პარტიას ამოუდგება გვერდში.

ეს დრო უკვე დადგა.

რაც ვერ შეიძლო ათეულ წლების განმავლობაში წარმოებულმა პროპაგანდა-აგიტაციამ, ის ადვილათ განახორციელა საერთაშორისო ომმა და მის მიერ გამოწვეულ ცხოვრების არევ-დარევამ. ომმა გამოაშკარავა როგორც ფარისევლობა გაბატონებულ კლასების, ისე მათი გაუმაძღრობა და დაუნდობლობა. და ხალხი უკვე აღდგა გაბატონებულ კლასების პოლიტიკის წინაღმდეგ.

ჩვენთვის, როგორც პატარა ერისთვის, ყველაზე უფრო საგრძნობია ის ცვლილება, რომელიც საერთაშორისო ცხოვრებაში ხდება. ამიერ-კავკასიაში ყველაზე ძლიერი იყო ნაციონალისტების ძალა გავლენა, რაც საქართველოსაც უხუთავს სულს.

შაბათის შეერთებულმა სხდომამ, სახალხო სახლში რომ გაიმართა, აშკარად ცხადჰყო ნაციონალისტების სიკოტრე, მათი სიხარულის უსაფუძვლობა. აქ, ამ სხდომაზე, თავი მოიყარა ყველა ერის ჭეშმარიტმა დემოკრატიამ. წინანდელ ჩვენს ოჯახს მიემატა ერთი ახალი წევრიც: გერმანიის რევოლიუციონურ დემოკრატიის წარმომადგენლები—გერმანელი სალდათები. მათს სიტყვებში აშკარად გაისმა ძმობა-ერთობისაკენ მოწოდება. და იმდენათ ძლიერი იყო ეს ხმა და იმდენათ უდაო და უცილო სოლიდარობის შეგნება, რომ სხდომაზე ადგილი არ ჰქონია სხვაგვარ აზრს და შეხედულობებს.

და ჩვენ თამამათ შეგვიძლია ვსთქვათ: პროლეტარიატის ხელმძღვანელი პარტია—სოციალ-დემოკრატია განმარტოებული აღარა სდგას ბრძოლის ველზე: მას ზურგს უმაგრებს მთელი ქვეყნის დემოკრატია. ნაციონალიზმი კოტრდება და ერთა სოლიდარობის საქმეს ძლიერ ტახტს იდგამს.

## პრესა

„საქართველო"-ში მოთავსებულია საუბარი საქართველოს დელეგაციის წევრ გიორგი გვაზავასთან, რომელიც ეხლახან დაბრუნდა სტამბოლიდან. მისი თქმით:

„დაიწყო (ოსმალებთან) მოლაპარაკება ინგლისელებთან და მე საჭიროდ დავინახე მათი (ე. ი. ინგლისელების) ნახვა, მაგრამ ვინაიდან ეს შეუძლებელი იყო, ვინახულე ნიდერლანდების და ბულგარეთის ელჩები და ვსთხოვე გადაეცათ მათთვის ყველაფერი საქართველოს საკითხის შესახებ, ბულგარეთის ელჩმა ყველაფერი ეს გადასცა.

მე არ მქონია საშუალება პირადათ მელაპარაკა ინგლისის ოფიციალურ წარმომადგენლებთან, მაგრამ რაც კერძო პირებიდან ვიცი, შეძლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ინგლისს არაფერი ექნება საქართველოს საწინაღმდეგო და ყოველ შემთხვევაში, შიში, რომ იგი ისევ რუსეთს გადაგვცემს, ნიადაგს მოკლებულია.

ინგლისი შეეცდება რუსეთის აღდგენას, მხოლოდ მკვიდრი რუსეთის და არა ისეთის ნაწილების შეერთებას, როგორიც მაგალითად პოლონეთი, ან საქართველოა, რომელნიც სავსებით თვითგამორკვეულნი არიან და რომელთაც გარკვეული სახელმწიფოებრივი სახე აქვთ მიღებული".

— ბაქოს გაზეთის „ადერბეიჯანის" გადმოცემით, ბაქოში მყოფ ინგლისის მისიისთვის ერევნის გუბერნიაში მცხოვრებ მუსულმანთა წარმომადგენლებს თხოვნა მიურთმევიათ, სადაც აწერილი ყოფილა ამ ადგილებში სომხების მიერ მუსულმანთა შევიწროება. მუსულმანთა წარმომადგენლები სთხოვენ:

„ეცნობოს მოკავშირეთა სახელმწიფოებს ერევნის გუბერნიაში მუსულმანთა კრიტიკული მდგომარეობის შესახებ, რათა შექმნილ იქნას საერთაშორისო გარანტია მუსულმანთა ფიზიკური განადგურებისაგან დასაცავად. დელეგაციას აღუთქვეს, რომ მათ თხოვნას გადასცემენ ენზელში მყოფ ინგლისის საექსპედიციო ჯარების უფროსს გენ. ტომსონს. ერევნის გუბერნიის მდგომარეობა მოკავშირეებმა კარგათ იციან და საჭირო ზომები ახლო ხანში მიღებული იქნებაო.

— „გრუზიამ" „ალმოაჩინა", რომ პარლამენტის წევრი, ჩვენი ამხანაგი ბ. მიკირტუმოვი ქართველი გრიგორიანია. ამხ. მიკირტუმოვმა ეს უარყო რედაქციის მიმართ წერილში. „გრუზიამ" საბაბი იშოვა და გაზეთის ფურცლებზე ანვითარებს იმ აზრს, რომელსაც პარლამენტში ბ-ნი გაბაშვილი იცავდა—სომხებს ჰყავთ წარმომადგენელი და ს. დ. ფრაქციაში მყოფი სომეხი გამოირიცხოსო. ეს პარლამენტმა უარჰყო. „გრუზია" ამბობს, თუ ქართველი გრიგორიანი არ არის მიკირტუმოვი, მას ზნეობრივი უფლება არ აქვს აგრე მოიქცესო. უნდა მოვახსენოთ „გრუზია"ს, რომ ამხ. მიკირტუმოვი ს.-დ. პარტიის მანდატით არის გაგზავნილი პარლამენტში. საქართველოს დამფუძნებელ კრებაშიაც ს.-დ. პარტია გაგზავნის როგორც ქართველ ამხანაგებს, ისე სომხებს, რუსებს, ოსებს და სხ. ვინაიდან საქართველოს ფარგლებშიაც ს. დ. პარტიის მოღვაწეობა მუდამ ინტერნაციონალური იქნება ისე, როგორც ეს დღემდე იყო.

— დაშნაკელთა „აშხატავორ"-ი სწერს, რომ ოსმალეთმა ასკერები ბლომათ დასტოვა ადერბეიჯანში. აქ ასკერებს ტანისამოსი გამოუცვლიათ და ადერბეიჯანის ჯარში ჩარიცხეს.

გაზეთი დასძენს:

„ვისთვისაც ძვირფასია ამიერ-კავკასიის მშვიდობიანობა და მისი კულტურული წარმატება, უნდა ჩაუკვირდეს ამ მხრით მოსალოდნელ ოსმალთა საფრთხეს, რომ აიძულონ ოსმალები გაიყვანონ ადერბეიჯანიდან და ამიერ-კავკასიის სხვა ადგილებიდან თავიანთი გადაცმული ჯარები, რათა დაბოლოს ლტოლვილებს საშუალება მიეცეთ დაუბრუნდენ თავიანთ კერას".

როცა ამ სტრიქონებს სწერდა „აშხატავორი", მან კარგად იცოდა, რომ ამ გვარი გადაცმული თუ გადაუცმელი ასკერები მრავლათ არიან ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში. ამ მაზრებიდან თითქმის არ იყო დაძრული წასასვლელად ოსმალთა ჯარი, რომ „აშხატავორ-ჰორიზონი" ლტოლვილებს მოუწოდებდა—საქართველოს მთავრობა არ გაუშვებთ, თორემ ოსმალებმა უკვე დასცალეს ეს მაზრებიო! და ასეთი წესით სომეხ ლტოლვილებს ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ ამხედრებდა!

— „ედინენიე" ეხება უკანასკნელად ვეზში მომხდარ ამბებს. გაზეთის აზრით, სამხედრო წესების გამოცხადება და საგანგებო ზომების მიღება ლტოლვილთა გარშემო ატეხილ განგაშს გამოუწვევია.

„ლტოლვილებს სახლში დაბრუნება სურთ... ამ საქმეში, ამბობენ, ხელი არ შეუწყვეს იმათ, ვისაც ეს ეხებოდაო".

გაზეთი აქ თითქოს სხვისი პირით ლაპარაკობს, ბრალს კი თითონ ჩვენს მთავრობას სდებს.

დაბოლოს გაზეთი ასეთ დასკვნას აკეთებს:

„ეს ისტორია იმის მაჩვენებელია, თუ როგორ უნდობლათ ეპყრობიან ერთმანეთს ჩვენი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი, როგორ მცირეა მათ შორის ისეთი პირები, რომელთაც სურთ ხალხის სასარგებლოთ მოღვაწეობა".

სად არიან ასეთი პირები? ყოველ შემთხვევაში, „ედინენიეს" რედაქციაში მეტი, ვიდრე სხვაგან.

როცა ამას წინად გენ. ჯუნკოვსკის და სხვათა ბინებზე დინამიტი აღმოაჩინეს, მაშინ „ედინენიე" სწერდა საქართველოს მთავრობის მიერ რუსი აფიცრების დევნაზე, შევიწროვებაზე და დასძენდა—ეს ხალხი სპეკულიაციამ გაიტაცა, დინამიტს ყიდულობდნენ, ყიდდნენ და ამ გზით ფულს შოულობდნენო, აქ დასასჯელი არაფერიაო.

როცა ძეგვის ხიდი ააფეთქეს, როცა ტფილისის ტრამვაის ელექტრონის სადგურს დინამიტი დაუდეს, როცა ვერის ხიდის აფეთქება განიზრახეს და დინამიტი ჩაუწყვეს, „ედინენიე" ამის შესახებ არაფერს ამბობს.

და თუ „ედინენიეს" მოღვაწეებს სურთ „ნდობით მოეპყრან", მათ არა თუ უნდა დაიცვან „დინამიტით მოვაჭრე სპეკულიანტები", არამედ—მათი ბინა, დინამიტის საწყობი დაუსახელონ საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას.

## „ლურჯი ჩიტი"

(შთაბეჭდილება)

ყველას გეხსომებათ „ლურჯი ჩიტი". ჯერ ისევ ნორჩ, მოზარდ პროლეტარიატს—ტილტილ-მილტილს გაუფრინდა ლურჯი ჩიტი ბედნიერებისა და სიხარულისა, ლურჯი ჩიტი საფარეზო ინტერნაციონალისა და ტარიელისებურ სულის კვეთებით და ნების სიმტკიცით იწყო მისი ძიება ჯოჯოხეთურად საზარ ლამეში.

— ბედნიერების, თავისუფლების ჩიტუნია დავკარგე, ხომ არ გინახავთ? ისმოდა ძახილი ყოველს ქვეყანაში. ისმოდა იგი ჩვენშიაც, მაგრამ ვის ესმოდა იგი, ვის შეეძლო მისი გაგება, როდესაც მთელი ქვეყანა გაყრუებული იყო პირდაფჩენილ ზარბაზნების გრიალით..ვით იპოვნიდნენ სიყვარულის ჩიორებს, როდესაც ყველგან გაჩაღებული იყო საშინელი კოცონები და ზედ იბუგებოდა ყოველივე ის დიადი იდეები, რომელიც გვიანდერძეს პროლეტარიატისთვის თავ დადებულმა გმირებმა.

ამ ტარტაროზულ ლიტურგიას, ბოროტ სულთ მსახურებას ასრულებდნენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი და თან „წორემართე ლოცვა ჩემი"ს ნაცვლად დაჰლილინებდენ ბელიარ ეშმაკის მოძახილს:

„წილმა ხნულსა უკუ ვეარცხავ,
დავძრწი სულის დასაღუპად;
ვნუგეშობ, რომ კაცი სცხოვრობს
მხოლოდ ძმათა დასაღუპად".

ამა ქვეყნის ძლიერთა სიბოროტე ბელიარ ეშმაკის სიგლისპეზე შორსაც კი მიდიოდა და კალიგულასავით იმას სცდილობენენ და ოცნებობდნენ, რომ ყველას ერთი თავი ჰქონდეს, რათა ერთის მოქნევით გააგდებინონ.. ეს ოპერაცია ისე კი უნდა მოჰხდეს, რომ ამ თავმოჭრილ არსებას ერთი რამ უეჭველად შერჩეს: მანქანასავით ტრიალი და მუშაობა... მუშაობა მათი სიმდიდრის გასადიდებლად... მათ სხვანაირად არ შეეძლოთ ეფიქრათ იმიტომ, რომ თუ პროლეტარიატს ამნაირად არ წაართმევდნენ უნარს აზროვნობისას და სჯისას—იგი მალე მესაფლავეთ გადაიქცეოდა და მისს ღვარძლიანს ჰეროველას შესცვლიდა აღტაცებულის ამოძახილით: ასე დაეცა და განირთხა ძირს ძლიერთ ძლიერი ამა ქვეყნისა.

გამართლდა კიდეც მათი შიში... მიუხედავათ იმისა, რომ ურთიერთობა ევროპასა და ჩვენ შორის ომიანობის გამო მოსპობილია და ცნობები ძალიან ცოტა მოგვდის, მაინც მოაღწია ჩვენამდის სანატრელმა ამბავმა, რომ პროლეტარიატის ფოლადოვან ნებას შეუმუსრია ძველი გერმანიის უსაშინელესი იმპერიალიზმი, გაუცამტვერებია მონარქიის ტახტი და მის ადგილას აუმართნიათ ახალი გერმანიის კვარცხლბეკი უსანუკვარეს და უბადლო თავისუფლების ალსამართავად.

ამაზე მეტი სიხარული გაგონილა?

განა შეიძლება ამაზე მეტი სასწაულის მოხდენა?

რაღ გინდათ, რად ეძებთ გამტვერიანებულ წიგნთსაცავებში ზღაპრებს—გადაჰხედეთ ევროპას და მუნ იხილავთ ცოცხალ ლეგენდებს. იქ გაიგებთ, თუ მაჯლაჯუნა-ბოროტმა, ბებრუხანა ომმა ვით წარმოშვა სამარადისო სიყვარულის და ძმობის წინამორბედი—ფრთა კისკასა რევოლიუცია.

ვინ იფიქრებდა, თუნდაა ამ ხუთი კვირის წინეთ, თუ გერმანიის იმპერიალისტური ჯარი რევოლიუციის ლაშქრად გადაიქცეოდა...

და, აი, სიზმრად სანატრელი ოცნება აცხადდა, მომხიბლავ სინამდვილეთ იქცა. 16 ნოემბერს მუშათა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე სტუმრებად გვეწვივნენ გერმანელ ჯარისკაცთა საბჭოს წევრები... იგინი გამოეხმაურნენ კარლო ჩხეიძეს იმ მოწოდებაზე, რომელიც მან ერთი წლის წინეთ პეტროგრადის მუშა ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარის სახელით გადაისროლა გერმანიაში, მაგრამ ვერ გაატანა დამსკდარ ყუმბარათა ღრიანცელს... დაიკარგა ზარბაზან ტყვიისმფრქვეველთა ზღუდეებში...

ახლა ჩამოინგრა ის ზღუდეები და გვესმა გამოძახილი და თბილი სალამი თანამოძმეების.

— გერმანიის ხალხმა სოციალიზმის დროშა აღმართაო—აი ის სიტყვები, რომელნიც დიდხანს დაკარგულ ლურჯ ჩიტებად შემოფრინდნენ დარბაზში და სიამით ააფთქრიალეს ომიანობის კვამლისაგან გაჭვარტლული გული...

— ჩვენ მივდივართ რესპუბლიკანურ გერმანიაში იმ მაღალი მიზნებისთვის საბრძოლველად, რომელსაც ამ პატარა კუნძულზე—საქართველოზე ეტრფის აქაური დემოკრატია... ჩვენ მივდივართ, მაგრამ სულით, გულით, საბოლოო მიზნისთვის ბრძოლის დროს მარად თქვენთან ვიქნებითო—გვეუბნებოდნენ იმპერიალისტების პირ-საცრო მოხსნილი გერმანელი მოქალაქენი.

ისინი არასოდეს არ დაივიწყებენ იმ იშვიათ, ბედნიერ წუთებს მთელ მათ ცხოვრებაში, რომელიც საქართველოს პროლეტარიატთან მეგობრობაში განიცადეს და მარად ეხსომებათ ჩვენი თბილი გრძნობა...

ვუყურებდი ასეთ ზეიმს ორი ქვეყნის პროლეტარიატისას და ნება-უნებლიეთ ფიქრებით გადაველი კიევში, სადაც ამ ექვსი თვის წინეთ გერმანელი ჯარისკაცები სკოროპადსკის ლოცვა-კურთხევით სასტიკად სდევნიდნენ ყველა იმას, ვინც იღწოდა მძიმედ დაჭრილ სვეუბედურ რუსეთის რევოლიუციის სახსნელად... ამ მიზნით მათ პირველ მაისის დღესასწაულიც კი ჩაშალეს.

სდევნიდნენ და აპატიმრებდნენ ყველას, განურჩევლად ეროვნებისა და ერთ მშვენიერ დღეს ქართულ კომისარიატსაც ეწვივნენ...

ჩხრეკის შემდეგ დაგვაპატიმრეს შიგ მყოფნი. მიგვყავდით კიევის ქუჩებზე და მწარედ გვიკვნესოდა გული.

ის კი არ გვაწუხებდა რომ გვესპობოდა თავისუფლება, არამედ ის გვიკლავდა გულს, რომ ტყვეთა ვყვანდით იმათ, რომლისგანაც თვით ვსწავლობდით რევოლიუციონერობას. პირქუშ დარაჯებად მოგვდევდნენ იმ ქვეყნის შვილები, სადაც პირველად დაირწო აკვანი მეცნიერულ სოციალიზმისა.

ვილა დამაჯერებდა მაშინ, თუ დადგებოდა დრო და ეს ჯარისკაცები სოციალურ რევოლიუციის სიმღერას აახმატკბილებდნენ.

ამ მოგონებით უფრო შვებით ამიფართქალდა გული.

ახევე ჰლალადობდა და ჰკასკასობდა ყველა, რომელსაც მოესწრო დარბაზში შემოსვლა... დანარჩენნი კი გარეთ დარჩენილიყვნენ უადგილობის გამო და იქიდან შემოგვნატროდნენ.

— ჰოჰ, ჰოჰ—გაუმარჯოს ინტერნაციონალსო!—გრიალებდა შეყვარებულ მიჯნურებსავით ერთი მეორეში გადახლართული ამოძახილი ქართველ გერმანელებისა.

ასეთის ალტაცებით გამოველით გარეთ და მშვენიერი სანახავი წარმოგვიდგა თვალ-წინ:

ლურჯად მოკრიალებულს ცაზე გაბადრულ მთვარეს ნაირ ნაირ ზოლად შემორტყმული ჰქონდა სხივების შარავანდედი... ჩემს სიცოცხლეში პირველად ვხედავდი ასეთს სურათს... კაცს ეგონა ვიღაცას რამდენიმე ცისარტყელა სადანგებოდ მოეშვილდა, მოერკალებინა და მთვარისთვის არშიებად შემოერტყა და ასე შეექმნა ერთგვარი სიმბოლო სხვათა ფერადობის, სიმბოლო ფერთა კრებულისა—ინტერნაციონალისა.

ფერების ჰარმონია იყო ცაზე და ასეთსავე ჰარმონიას ვხედავდით დედამიწაზე ორი ქვეყნის შვილთა შორის.

მიდიოდა ქუჩებზე ზღვა ხალხი თავშეუკავებელ სიხარულის ჟრიამულით და მე ნება უნებლიეთ ხმამაღლა წარმოვთქვი ქუჩიშვილის ლექსი:

„მოდის, მოდიოდა ზღვა ხალხი
სიცილითა და ღრეობით,
გუშინ თუ თვალი ვერ ძლებდა
გამარჯვებულთა ცქერითა...
მსურს ყველას გადავეხვიო
და დავუკოცნო პირი მე,
მაგრამ ცრემლები მერევა
და სიხარულით ვსტირი მე"...

მართალია, ბევრი, ბევრი ათასწლის დაკარგული „ლურჯი ჩიტის" მოფრენამ და სანატრელ მომავლის მოახლოვებამ ჰქმნა...

დ. თურდოსპირელი.

## მუშათა დეპუტატების საბჭოში

კრება დანიშნული იყო სახალხო სახლში საღამოს 6 საათისთვის. აურაცხელი ხალხი მოაწყდა დარბაზს, აურაცხელი ხალხი იცდიდა ქუჩაში. საღამოს 6 ნახ. ს. იწყებოდა, როდესაც დარბაზში გამოჩნდნენ გერმანელი ჯარისკაცები. ხალხი მათ ოვაციებს უმართავს.

ნ. ჟორდანია ხსნის რა კრებას, მისასალმებელ სიტყვას უძღვნის გერმანელ ჯარისკაცებს.

ნ. ჟორდანია. ამხანაგებო! ვიდრე გადავიდოდეთ მოხსენებებზე, ნება მომეცით გამოვხატო საზეიმო შეხვედრა აქ მყოფ გერმანელ ჯარისკაცთა საბჭოს წევრებს (ტაში). (გაისმის მარსელიოზა, ყველანი ფეხზე დგებიან და სიმღერის დასასრულ გაისმის მქუხარე ტაში). აქ ნობანდის ვსენი იყვნენ ჯარები გერმანიის იმპერიალიზმისა, ახლა შეადგენენ გერმანიის რევოლიუციის ლაშქარს. თქვენ იცით, რომ ჩვენ ვიყავით მეტად კმაყოფილი გერმანელ ჯარისკაცების აქ ყოფნით, თქვენ იცით, რომ მათ აქ ყოფნამ დაგვიხსნა ჩვენ უცხო ქვეყნის მტრობისაგან. თუ ჩვენ კმაყოფილი ვიყავით მაშინ რა თქმა უნდა, ეხლა უფრო კმაყოფილი ვიქნებით, როდესაც ისინი შეადგენენ რევოლიუციის რაზმს. გერმანიის ჯარისკაცებს სურთ წავიდნენ სამშობლოში, რათა მიიღონ აქტიური მონაწილეობა თავიანთ ქვეყნის საქმეებში. ვუსურვებთ მათ მშვიდობიანათ დაბრუნებას და რევოლიუციაში მონაწილეობის მიღებას. რასაკვირველია, ჩვენი სურვილია, რომ ამხანაგები დარჩნენ კარგა ხანს აქ, ჩვენთან ერთი ერთმანეთის გასაცნობათ. ის კედელი, რომელიც ჩვენ გვაშორებდა ერთმანეთს დანგრეულია, ჩვენ წინაში არიან თავისუფალნი გერმანელი მოქალაქენი ჯარისკაცთა ტანსაცმელში გამოწყობილნი, ესენი გვეგზავნებიან არა როგორც მარტო ჯარისკაცები, არამედ—როგორც თავისუფალი გერმანიის მოქალაქენი. მომეცით ნება კიდევ მივულოცო საბჭოს სახელით. ჩვენ, აქ მყოფნი დიდხანს დავიხსომებთ მათ, ჩვენი მეხსიერებიდან ისინი არ წაიშლებიან და გვეხსომება მათი ყოფნა აქ, როგორც გერმანიის რევოლიუციამდე, ისე მის შემდეგ. ნება მიბოძეთ ერთხელ კიდევ მივესალმო. (ტაში).

საპასუხო სიტყვას ამბობს გერმანელი ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი, რომლის გამოსვლასაც ხალხი ძლიერი ტაშით ხვდება. მისი სიტყვა გადმოთარგმნა ნ. იმნაიშვილმა, რომლის შინაარსიც მოგვყავს: ორატორი მადლობას უცხადებს ჯარისკაცთა საბჭოს სახელით იმ გრძნობიარე შეხვედრისათვის, რომელიც მათ წინათ შეხვდათ. ჩვენ ვიქნებით თქვენთან ერთად იმ საერთო მიზნების განსახორციელებლათ, რომელიც ჩვენ დავისახეთ ყველამ, ჩვენ მთელს სიცოცხლეში არ დაგვავიწყდება ის ბედნიერი წუთები, რომელიც აქ განვიცადეთ. ორატორი თავის სიტყვის დასასრულს უსურვებს საბჭოს, რომ განაგრძოს ნაყოფიერი მუშაობა და ათავებს სიტყვას—„ჰოხ"-ით (ტაში).

მეორე ჯარისკაცი ამბობს, რომლის სიტყვას სთარგმნის რუსულად ირ. წერეთელი. ამხანაგმა დაიწყო თავის სიტყვა იმ განცხადებით, რომ ის ლაპარაკობს არა როგორც ჯარისკაცი, არამედ—როგორც წევრი ბავარიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის. სოციალ-დემოკრატია თავს უყრიდა იმ ძალებს, ვინც წინააღმდეგი იყო იმპერიალისტურ ომების. სოციალ-დემოკრატია აღნიშნავდა იმ საშინელებას, რომელიც ომს მოსდევს. ჩვენ, ამბობს ორატორი, ვებრძოდით იმპერიალისტურ სოციალისტებს, რომელნიც მხარს უჭერს თავის მთავრობას. მაგრამ ავიწყდებოდათ, რომ გერმანიაში არ იყო სიტყვის თავისუფლება, ჰქონდა ადგილი ძალდატანებას და ხმა გერმანიის საუკეთესო შვილებისა დახშული იყო. ეხლა გერმანიის თავისუფალ შვილებს შეუძლიათ სთქვან ის, რაც მათ აწუხებთ და რაც სურთ. გერმანია, რომელიც შეადგენდა მონარქიულ სახელმწიფოთა კავშირებს, ხალხმა რესპუბლიკანურ კავშირებათ გამოაცხადა, პრუსიაში გამოცხადდა რესპუბლიკა, ასევე მოხდა ბავარიაში, რომლის დემოკრატიის სახელითაც ორატორი ესალმება საბჭოს და ამბობს, რომ დაუვიწყარი იქნება ის შეხვედრა, რომელიც თქვენ გაგვიმართეთ, ის წუთები სამუდამოთ ჩაგვრჩებიან ჩვენ ხსოვნაში. და წავალთ სამშობლოში იმ რწმენით, რომ აქ დემოკრატია იბრძოლებს იმავე იდეალებისათვის, რომელიც ჩვენ გვისახლდებულებს. ორატორი სიტყვის დასასრულ ესალმება ბავარიის სოც.-დემ. პარტიის სახელით.

ქ. ჩხეიძე. ამხანაგო ჯარისკაცებო, რევოლიუციონერ გერმანიისა! ჩვენ გვქონდა შემთხვევა გვენახა მე-8 ს.-დ. ყრილობაზე თქვენი წარმომადგენლები. მე წილად მხვდა ბედნიერება მივსალმებოდი მათ. ეხლაც ვამბობ რა, ამხანაგებო, აქ მე მაგონდება ის მომენტი, როდესაც რუსეთში შესდგა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები და ნება მომეცით მე, როგორც იმ საბჭოების პირველ თავმჯდომარეს, შევძახო: გაუმარჯოს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებს! გაუმარჯოს ინტერნაციონალს (ტაში). პეტროგრადის საბჭომ, როგორც თქვენ იცით, მიმართა მსოფლიო პროლეტარიატს მოწოდებით და მოითხოვდა ზავს უანექსიოს და უკონტრიბუციოს, ერთა თვითგამორკვევის პრინციპებით. იგი მოუწოდებდა პროლეტარიატს, დაემხო იმპერიალისტური მთავრობები, გაერთიანებულიყო იგი და ჩამოეგდო ზავი. დიდი დრო გავიდა მას შემდეგ და დიდხანსაც მოგვიხდა ლოდინი, მაგრამ ჩვენ იმედს არ ვკარგავდით, რომ ეს მოწოდება ჰპოვებდა გამოხმაურებას. ჩვენ ეხლა ამ ფაქტის წინაშე ვდგევართ. გერმანიის ხალხმა აიღო ხელში სოციალიზმის დროშა. ეს დროშა აიღო იმ ხალხმა, ვინც გვასწავლიდა, რომელთა შვილებიც ჩვენი წინამძღოლები იყვნენ. ცუდ პირობებში უხდება მას ზავის მოპოვება, მაგრამ ჩვენ იმედს არ ვკარგავთ, რომ გენია გერმანიის ხალხის, მისი გამოცდილება იმისი თავდებია, რომ გერმანია მიიღებს საპატიო ზავს. მით უმეტეს, რომ გერმანიის პროლეტარიატი არ სდგას განმარტოებით. თქვენ უფრო ბედნიერნი იქნებით ჩვენზე, თქვენ დიდხანს არ მოგიხდებათ ცდა, თქვენს წინაშე არის გაკვეთილი რუსეთის რევოლიუციისა და მის შეცდომებს თქვენ არ გაიმეორებთ. ჩვენ, ამხანაგებო, დავანგრიეთ რუსეთის თვითმპყრობელობა და თქვენც იმედი გქონდეთ, რომ ჩვენში აღარ დაბრუნდება თვითმპყრობელობის დრო, თქვენშიაც დაინგრა თვითმპყრობელობა და ჩვენ შეგვიძლიან ერთმანეთის ხელი გავუწოდოთ. დასასრულ არ შემიძლიან არ გითხრათ, რომ თქვენ დიდი საქმე გააკეთეთ: იხსენით საქართველოს რესპუბლიკა არა მარტო მტრებისაგან, არამედ—სამარცხვინო სიკვდილისაგან. ამით თქვენ დაეხმარეთ არა მარტო ამიერკავკასიის დემოკრატიას, არამედ—რუსეთის და მსოფლიო პროლეტარიატსაც, რადგანაც აქ რევოლიუციის მონაპოვარი შენახულია და ეს კი თქვენის დახმარებით მოხდა: და ამ რევოლიუციის მონაპოვარით დაინტერესებულია მსოფლიო პროლეტარიატი. თქვენ რომ წახვალთ სამშობლოში, შეგიძლიათ უთხრათ თქვენებს, რომ თქვენ ეშველებოდით მათ, ვინც სწავლობდა გერმანიის ხალხისაგან და უთხარით თქვენებს, რომ ჩვენ მათთან ვართ და შევინარჩუნებთ ყველა რევოლიუციონერ მონაპოვარს, და მზათ ვართ გერმანელებთან ერთად ვიბრძოლოთ თავისუფლების და სოციალიზმის დასამყარებლათ.

ჯ.-კ. რიხტერი ამბობს, ჩვენ შევასრულეთ ის მოწოდება, რომლითაც ამხანაგმა ჩხეიძემ პეტ. მუშ. საბ. სახელით მოგვმართა, ჩვენ განვახორციელეთ ის, რასაც მოგვიწოდებდა პეტროგრადის საბჭო. ჩვენ გვაქვს ცნობა, რომ საფრანგეთშიაც დაარსდა საბჭოები (ტაში) და არ არის შორს ის დრო, როდესაც საფრანგეთის დემოკრატია ჩვენთან ხელიხელ ჩაკიდებული ივლის საერთო მიზნებისთვის. დასასრულ ორატორი უცხადებს მადლობას იმ შეხვედრის გამო, რომელიც მათ გაუწიეს აქ და ეს წუთები ჩვენ ხსოვნაში სამუდამოთ აღიბეჭდება (ტაში).

ნ. ჟორდანია ამხანაგებო, ჩვენი საზეიმო შეხვედრა სრულდება. მე მსურს თქვენი სახელით ვუთხრა მათ მადლობა იმ სიტყვებისათვის, რომელიც აქ წარმოსთქვეს. მინდა ვუთხრა, რომ თფილისის საბჭო წავა ბერლინის საბჭოს გზ. იმედი გვაქვს, რომ ბერლინის საბჭო და გერმანიის ყველა საბჭოები ივლიან სწორის გზით და მიაღწევს დემოკრატიის საშუალებით სოციალიზმს. გერმანიის დემოკრატია ბრძოლაში გამოწრთობილია, ის ჩვენ გვასწავლიდა, გვაძლევდა მაგალითს, თუ როგორ უნდა მოგვეხდინა რევოლიუცია და როგორი ნაბიჯებით გვევლო განზრახულ მიზნებისკენ. ჩვენ მზათ ვართ გავყვეთ მათ; მათი აზრები, გავავრცელოთ და მოვფინოთ აღმოსავლეთ სამხრეთისკენ და თუ ჩვენი ტერიტორია გეოგრაფიულათ ევროპას აზიასთან აერთებს, ჩვენ ვეცდებით, რომ ეს შეერთება იდეურ მხრივაც მოხდეს. გისურვებთ მშვიდობით დაბრუნებას გერმანიაში (ტაში).

ამით დასრულდა საზეიმო სხდომა, რადგანაც დარბაზში აუარებელი ხალხი იყო და ამით შეიძლება შენობაც დაზიანებულიყო, საბჭომ გადასწყვიტა კრება გადაიდოს და დაევალოს პრეზიდიუმს ამ დღეებში მოაწყოს ის სხვაგან, უფრო ფართე შენობაში.

## საქ. არსებულ სომხ. მისიის საინფორმაც. ბიუროსაგან

(წერილი რედაქციისადმი).

იმ წერილის გამო, რომელიც „ერთობა"-ში იყო მოთავსებული სათაურით „ბ-ნ ჯამალიანის როლი საქართველოს რესპუბლიკაში", საქართველოში არსებული სომხეთის დიპლომატიურ მისიის საინფორმაციო ბიურო გთხოვთ მოათავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგი განმარტება:

ბ-ნ ჯამალიანის მოღვაწეობის დაფასებაში, როგორც აშკარა მტრულ მოქმედებაში საქართველოს მთავრობისადმი, „ერთობა" ორი კონკრეტიული ფაქტიდან გამოდიოდა. ეს ფაქტები, სამწუხაროდ, გაზეთის მიერ წარმოდგენილია შემცდარათ და აქედან შემცდარია ის დასკვნებიც, რომელსაც აკეთებს „ერთობა" ბ-ნ ჯამალიანის, როგორც მეგობარი ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლის მოქმედებაში. ეს ფაქტები კი შემდეგია: 1) აზრთა სხვადასხვაობა ასაფეთქებელ მასალათა სომხის საწყობებიდან ქალაქის გარეთ გადატანის შესახებ და 2) ჯამალიანის მიმართვა კიევში სომხეთის კომისარიატისადმი სომეხთა ლტოლვილების უნუგეშო მდგომარეობის შესახებ.

ასაფეთქებელ მასალათა ქალაქ გარეთ გატანის შესახებ სიმართლე იმაში მდგომარეობს, რომ ჯამალიანი არასოდეს არ ფიქრობდა წინააღმდეგობა გაეწია საქართველოს მთავრობის გონიერ გადაწყვეტილებისათვის, რომ ასაფეთქებელი მასალები ქალაქს გარეთ გაეტანათ, რათა აეცდინათ მოსალოდნელი არასასურველი შემთხვევა. პირიქით, ჯამალიანმა დაუყოვნებლივ თანხმობა განაცხადა ასაფეთქებელ მასალის გადატანაზე, როცა მას პირადი მოლაპარაკება ჰქონდა საქართველოს სამხედრო მინისტრთან, როცა მინისტრმა წამოაყენა ასაფეთქებელ მასალების გადატანის მოტივები. მაგრამ ამასთანავე ჯამალიანი ფიქრობდა, რომ დასახლებულ ქონების შესანახად ჩაბარების დროს სომხეთის დიპლომატიურ მისიას წინადადება მიეცემა, განსაზღვრული იქნება ქონების მიღების დღე და საათი და ამ ოპერაციის დროს დაესწრება ჯამალიანის რწმუნებული ქონების საქართველოს მთავრობის წარმომადგენლისადმი აღწერით ჩასაბარებლად. როცა მთავრობის მიერ სომხეთის დიპლომატიური მისიისადმი განუცხადებლად გამოგზავნილ იქნა საწყობებში თფილისის გარნიზონის უფროსი გენერალი ახმეტელაშვილი, რომელმაც საწყობების გამგეებისაგან მოითხოვა დაუყოვნებლივ ჩაბარება საწყობების მთელი ქონების და არა მარტო ასაფეთქებელი მასალების და დაემუქრა კიდეც ძალით ქონების ხელში ჩაგდებას, მაშინ, რასაკვირველია, ჯამალიანს პროტესტით უნდა მიემართა საქართველოს მთავრობისადმი, რომ მას ყურადღება მიექცია ამ მოვლენისათვის. ამასთანავე, როგორც აქვე აღნიშნული სომხის დიპლომატიური მისიისა და საქართველოს მთავრობის შორის ამ კითხვაზე მიწერ-მოწერის ასლი, ისე თვით საქართველოს მთავრობის ნებართვის ფორმა, რომელიც გამოხატავს საქართველოს მთავრობის პრეტენზიას ჯამალიანისადმი ფანტავენ ეჭვს, რომ ჯამალიანი შორს არის არამც თუ საქართველოს მთავრობისადმი მტრულ განწყობილებისაგან, არამედ ლოიალურად ეპყრობა ამ მთავრობის სუვერენულ უფლებას. რაც შეეხება ჯამალიანის მიერ კიევში სომხეთის კომისარიატისადმი მიმართვას ლტოლვილთა საკითხის შესახებ, უნდა ვიფიქროთ, რომ არა სწორი ინფორმაციის სახელით, გაზეთი „ერთობა" შეცდომაშია შეყვანილი. ამ მიმართვის ტექსტი, რომლის ასლი შენახულია თფილისის რადიო სადგურში, შემდეგია:

„კიევი. სომხეთის კომისარიატს. პუშკინის ქუჩა, № 5. მაშინ, როდესაც მთელი კაცობრიობა საერთო ზავის წინაშე სდგას, როდესაც მრავალტანჯული სომხის ხალხისათვის დგება თავისუფალი ცხოვრების განთიადი, ახალქალაქის მაზრის მთელი მოსახლეობა, რომლებიც შეხიზნულნი არიან ბაკურიანი-წილკნის რაიონის მთებში, სრულიად განადგურების გზაზე დგანან. შენობები არ არის, პირუტყვები გაყიდულია, სხვა რაიონებში გადასახლება აღკრძალულია მთავრობის მიერ აკრძალულია. სომხის მთავრობის ყოველივე ღონისძიება, რომ ოსმალებისაგან, რომელნიც კიდევ ახალქალაქში იმყოფებიან, ნებართვა მიიღონ, სომხის ლტოლვილების დასაბრუნებლათ, შედეგს ვერ მიაღწია. წვიმები, ავადმყოფობა, შიმშილი, სიცივე უქადის ლტოლვილებს განადგურებას, რომელიც ყოველდღე 400 მსხვერპლს იძლევა. თუ დაუყოვნებლივ საშუალება არ იქნათ სამშობლოში დაბრუნებისა, ყველანი დაიღუპებიან. გთხოვთ გააგებინოთ საზოგადოებრივ აზრს. აუცილებელია რადიო ტელეგრამები დაგზავნოთ. ველი პასუხს. ჯამალიანი".

ამ ცნობიდან ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, რომ ლტოლვილთა თავის კერაზე დაბრუნების ნება დაურთველობის ბრალდების მთელი სიმძიმე ოსმალებს აწევთ, და ამ მიმართვისაგან, სადაც ერთი სიტყვითაც არ არის საქართველოს მთავრობა ნახსენები, განა შეიძლება დავასკვნათ, რომ ბ. ჯამალიანი „ამზადებს ევროპასა და რუსეთს საქართველოსადმი მტრულ განწყობილებისათვის!?"

სამწუხაროდ, გაზეთ „ერთობას" დასახელებულ სტატიაში არ აღუნიშნავს ყველა ფაქტები ჯამალიანის საქართველოს მთავრობისადმი არა ლოიალურ მოქმედებისა, რომ ამით შეიძლებოდეს ამ მოქმედების შესახებ ყოველივე ეჭვის გაფანტვა. ყოველ შემთხვევაში, გავბედავთ, დამტკიცებას, რომ ბ. ჯამალიანმა თავის თანამდებობა მიიღო იმ მტკიცე რწმენით, რომ ყოველ მხრივ ხელი შეუწყოს ორი მონათესავე ერის დაახლოვებას და ის დარწმუნებულია,— მისი მიზანი სავსებით მიღწეულია მით უფრო, რომ საქართველოს მთავრობის წარმომადგენელთან და განსაკუთრებით საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრ გეგეჭკორთან საუბრისაგან, ჯამალიანმა გამოიტანა ის აზრი, რომ ორ მხარეთა შორის არ არის უთანხმოება, რომელიც არ შეიძლებოდეს თანხმობით და მშვიდობით გადაწყდეს საქართველოსა და სომხის მთავრობათა შორის.

საქართველოსთან არსებულ სომხეთის მისიის საინფორმაციო ბიურო.

—

**რედაქციისაგან.** სომხეთის საინფორმაციო მისიის წერილის გამო უნდა შევნიშნოთ შემდეგი:

1)ჩვენ ხელთა გვაქვს პირველ წყაროდან მიღებული ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებდა ბ. ჯამალიანი სომხეთის რესპუბლიკის საწყობების ქალაქგარეთ გადატანის საქმეში: სამხედრო მინისტრს ბ. ჯამალიანთან ჰქონდა სიტყვიერი მოლაპარაკება, რომლის დროსაც ბ. ჯამალიანი სრულიად დაეთანხმა, რომ საწყობების ქალაქში დარჩენა საშიშოა და ამიტომ საჭიროა მათი დაუყონებლივ ქალაქ-გარეთ გადატანა. ეს სიტყვიერი მოლაპარაკება, მართალია, ჩაწერილი არ იყო, აქტი ამ შეთანხმებისა შედგენილი არ იყო, მაგრამ სამხედრო მინისტრმა საკმარისად ჩასთვალა ეს სიტყვიერი თანხმობა ბ. ჯამალიანისა და გენერალ ახმეტელაშვილს დაავალა საწყობების გადატანა. გენერ. ახმეტელაშვილმა სთხოვა დარაჯთ უფროსს და პოლკ. დოლუხანოვს, რომ მათ გაეხსნათ საწყობები, აღწერის შემდეგ ჩაებარებინათ მისთვის და თითონაც დასწრებოდნენ გადატანას. დასახელებული პირნი ბ. ჯამალიანს შეეკითხნენ. ბ. ჯამალიანს რომ ნდომოდა საწყობების გადატანის საქმის გაადვილება და არა გაძნელება, თუ ის თანახმა იყო, რომ ამ საქმის დაყოვნება არ შეიძლება, მას თავის ხელქვეითებისთვის უნდა ებრძანა, შეასრულეთ გენ. ახმეტელაშვილის თხოვნაო; ამის მაგივრათ კი მან პროტესტი გაგზავნა გარეშე-საქმეთა სამინისტროში. ეს ფორმალისტური პროტესტი იმ მოქმედების გამო, რომელზედაც თვით ჯამალიანი წინა დღით დათანხმდა, საწყობთა ჩაბარების გადადების სურვილით შეიძლება მხოლოდ აიხსნას.

ეს ხელის შეშლა საწყობების გადატანის საქმეში წარმოადგენს არა-ლოიალურს ჩარევას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მოქმედებაში.

2. რაც შეეხება კიევში მყოფ სომხურ კომისარიატში დეპეშის გაგზავნას, საინფორმაციო ბიუროს მოჰყავს ამ დეპეშის ახალი ტექსტი. ეს დეპეშა დაბეჭდილი იყო ყველა გაზეთებში, და დაბეჭდილი იყო იმ სახით, როგორითაც ჩვენ მოვიყვანეთ. დეპეშაში იყო ამნაირი ფრაზა: „ოსმალები არ თანხმდებიან მათ დაბრუნებაზე სამშობლოში, და საქართველოს მთავრობა კი მათ ნებას არ აძლევს სხვა ადგილებში დასახლდნენ".

საიდან აიღეს გაზეთებმა დეპეშის ამნაირი ტექსტი?—სომეხთა მისიის ინფორმაციულმა ბიურომ ეს რომ გამოიძიოს, უკეთესი იქნება.

## გერმანიის დელეგაციის ცნობები

თფილისი, 18 ნოემბერი.

**გერმანულ ჯარების საბჭოს მოწოდება.**

აქ მყოფმა გერმანულ ჯარების საბჭომ შემდეგი მოწოდებით მიმართა გერმანიის ჯარისკაცებს:

„ამხანაგებო! თქვენ წრეში შეიქმნა ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, რომლის უმთავრესი მიზანია თქვენი ინტერესების დაცვა. ვთანამშრომლობთ რა ჩვენ წინამძღოლებთან, ჩვენ ვცდილობთ გამოვნახოთ გამოსავალი ჩვენი მძიმე მდგომარეობიდან. ამ მიზნით ჩვენ აუცილებლად ვრჩებით იმათ, რაც ვიყავით— თავის მოვალეობის ერთგულნი, რომლის გამო ჩვენ მთელ ქვეყანაში პატივისცემით ვსარგებლობდით, როგორც ჩვენი ყოფაქცევის გამო, ისე ჩვენი თავდაჭერილობით. არას შემთხვევაში არ ჩაიდინოთ ისეთი მოქმედებანი, რომელიც ამ პატივისცემას შეარყევდეს. სიმშვიდე და დისციპლინა სავალდებულოა ჩვენთვის. და ჩვენ გვჯერა, რომ თქვენ ამაში დაგვეხმარებით. დემოკრატია მიდის აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. ის ხალხი აღმოჩნდება ყველაზე ბედნიერი, რომელიც შესძლებს სალი და გაერთიანებული დემოკრატიის შექმნას.

ჩვენი სალამი თქვენ, ამხანაგებო! გაუმარჯოს თქვენს შეგნებულ და შეკავშირებულ მუშაობას სამშობლოში".

**შავ ზღვაზე.**

ცნობები იმის შესახებ, თითქოს შავ ზღვაზე აფეთქება მომხდარიყოს გერმანიის გემებისა – ყალბია. არავითარი შემთხვევა ამისა არ ყოფილა. თუ რამე ხდება, ჩვენ მაშინვე გატყობინებთ. დროებითი ზავის მე 9 მუხლი ამბობს, რომ ზღვებზე ყოველგვარი მტრული მოქმედება სწყდება.

**დროებითი ზავის ვადის გაგრძელება.**

დროებითი ზავის ვადა 30 დღის მაგიერ გაგრძელდება 35 დღე. ამ ხნის განმავლობაში უნდა გამომუშავებულ იქნეს საბოლოო ზავის პირობები.

**სურსათი გერმანიას.**

შეთანხმების სახელმწიფოებმა დაადგინეს, ამერიკიდან გაგზავნონ გერმანიაში სურსათი. ავსტრალიაში ბევრი ნაყინი ხორცი და პური ყოფილა.

**რევოლიუცია საფრანგეთში.**

გერმანიის რადიო-სადგურმა ჩრდილოეთ ზღვაში დაიჭირა საფრანგეთის რადიო-სადგურიდან (ეიფელის კოშკიდან) გაგზავნილი რადიო-დეპეშა 13 ნოემბრის თარიღით, სადაც ნათქვამია, რომ პარიზში რევოლიუციაა, პუანკარე გაიქცაო. ეს იყო უკანასკნელი დეპეშა. შეიძლება ეხლა ეიფელის კოშკის რადიო-სადგური აღარ მოქმედობს, ან და მთლად დანგრეულია.

**მდგომარეობა სპარსეთში.**

თავრიზში იმყოფება ეხლა გერმანიის საელჩო. ინგლისის საელჩო ჯერ არ მოსულა. ოსმალებმა ქალაქი მთლად დასცალეს. მათი წასვლის შემდეგ მცხოვრებლებს ქალაქში პური მოაქვს, რადგანაც რეკვიზიციის აღარ ეშინიათ.

ჯულფასთან კატასტროფი მოხდა: დაიმტვრა ოსმალების სამხედრო მატარებელი: 70 კაცი დახოცილია და 150 კაცი დაჭრილი. საერთოდ სპარსეთში ნორმალური მდგომარეობა იქმნება.

**ვილჰელმის ოჯახობა.**

ყოფილი გერმანიის დედოფალი და კრონპრინცის მეუღლე ჰოლანდიაში გაგზავნეს. ნაწილი ქონებისა მათ გაატანეს და დანარჩენი კი მთავრობის მიერ იქნება უზრუნველყოფილი.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

17 ნოემბერი.

**ინგლისის პრესის ცნობები.**

ლორდთა და პარლამენტის წევრთა კოალიციის სხდომაზე ლოიდ ჯორჯი კატეგორიულათ მოითხოვდა, რომ გამარჯვება უნდა გამოიყენონ რეფორმებისთვის, რომელიც დაკავშირებულია შრომის და წარმოების ორგანიზაციის პრობლემასთან. ლოიდ ჯორჯი შეეხო თანამედროვე რევოლიუციონურ მოძრაობას და სთქვა, რომ მას არც ეშინია არც რევოლიუციის და არც ბოლშევიზმის,—ეშინია მხოლოდ რეაქციის და უთანხმოების.

პრეზიდენტ ვილსონმა, გამოუცხადა რა კონგრესის ორივე პალატას დროებითი ზავის პირობები, მოიხსენია ის ჰუმანიური ნაბიჯები, რომელიც გადადგმულია ცენტრალურ სახელმწიფოთა უმწეო მდგომარეობის შესამსუბუქებლათ. პრეზიდენტი ვილსონი პესიმისტურათ უყურებს საზავო პირობათა ხანგრძლივობას და ამბობს, რომ თუ გერმანიის ხალხი მოისურვებს მშვიდობიანი გზით მოისპოს უთანხმოება, იმ შემთხვევაში მოკავშირენი მას ყველაფერში დაეხმარებიან.

ახლო მომავალში საზავო პირობების განსახილავათ შეიკრიბება საიმპერიო სამხედრო საბჭო.

რუმინიამ გერმანიას ომი გამოუცხადა. შესაძლებელია ამას ის მიზანი ჰქონდეს, რომ მაკენზენის საოკუპაციო არმიის კაპიტულიაცია მოხდეს.

დროებითი ზავის პირობების ცხოვრებაში გატარება წესიერათ სწარმოებს. მერტის და მოზელის დეპარტამენტები უკვე დაცლილია. სუ-პრეფექტი ბრიეი შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას. საფრანგეთის ჯარი ელზას-ლორენში შევიდა. საფრანგეთის მინისტრთა საბჭომ 3 კომისია დანიშნა მეტცში, სტასბურგში და კოლმარში, რომელმაც უნდა განაგოს განთავისუფლებულ ოლქებში. გერმანელებმა შუამდგომლობა აღძრეს ვილსონის წინაშე სურსათის გაგზავნის შესახებ. ვილსონი შუამდგომლობის ასრულებას დაჰპირდა, მხოლოდ იმ პირობით, თუ წესიერება დაცული იქნება.

ბრიუსელის მცხოვრებნი ოკუპატორების წინააღმდეგ აჯანყდნენ. გერმანელი ოფიცრები გარბიან. იგივე ხდება ელზასში, რის გამოც გერმანიის სარდლობა შუამდგომლობს, რომ მცხოვრებლებთან ურთიერთობაში გვენ. ფოში ჩაერიოს.

იტალიის მამაც ჯარს, რომელიც დასავლეთის ფრონტზე იბრძოდა, დიდი პატივისცემით ეპყრობიან. ღირსეულათ და გამარჯვებით დაამთავრეს მათ თავისი მოქმედება, რაც გამოიხატა იმაში, რომ რაც ხანი საფრანგეთში არიან განუწყვეტელათ ბრძოლაში იყვნენ და მონაწილეობა მიიღეს უკანასკნელ, გადამწყვეტ ბრძოლებში, რომელმაც სრული გამარჯვება მიანიჭა მოკავშირეთ. 10 ნოემბერს დღე ღამის განმავლობაში იტალიელთა ჯარმა მტრის ჯარს ფეხ და ფეხ სდია და ნეუზამდე მიაღწია. საღამო ჟამს მათ მიაღწიეს ფიორის და ბაზიურის სამხრეთის ხაზს, წამოიყვანეს ტყვეები და ხელთ იგდეს ტყვიისმფრქვეველები.

ლოიდ-ჯორჯმა განუცხადა მუშათა კომიტეტს, რომ საზავო კონფერენციაზე დაუშვებენ მათ წარმომადგენელს იმ პირობით, თუ მუშათა წარმომადგენელნი არ გავლენ მთავრობიდან.

რუსეთის საბჭოთა მთავრობა რევოლიუციონურ ორგანიზაციებს პურით დახმარება დაჰპირდა და ამ მიზნით პროვინციის საბჭოებს უბრძანა, დააგროვონ პური გერმანელებისათვის.

მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენელნი სპააში ჩავიდნენ, სადაც გერმანიის დელეგატებთან ერთად განიხილავენ დროებითი ზავის საკითხებს.

**ბოლშევიკების ცნობები.**

მოსკოვი. 16 ნოემბერი. 15 ნოემბერს ჩვენი ჯარი დღეს დილით ენერგიულ შეტევაზე გადავიდა; ხელმეორეთ აიღო ბობროვი. მტერი უწესრიგოთ უკან იხევს. სოსნოვკი-ბერიოზოვკის რაიონში ორი დღის მკაცრი იერიშის შემდეგ ჩვენმა ჯარმა მტრის 3 ცხენოსანი პოლკი დაამარცხა. მოკლულია 500 ყაზახი, წამოვიყვანეთ 200 ტყვე, ხელთ ვიგდეთ იარაღი, ტყვიისმფრქვეველები და ყაზახთა პოლკის შტაბი. 15 ნოემბ. ენერგიულათ ვსდევნით ვოტკინის ქარხანასთან დამარცხებულ თეთრ-გვარდიელებს. კუნგურსკი-კრასნოუფიმსკის ხაზით წინსვლა გრძელდება. მისვენის მიმართულებით წითელმა ჯარმა დაიპყრო სადგური კორმოვიშჩე. კიროვის ქარხანის აღების შემდეგ ჩვენი ჯარი წინსვლას განაგრძობს. მტერი უწესრიგოთ უკან იხევს. სტოკჰოლმი. 15 ნოემბერი. ბერლინის აღმასრულებელ კომიტეტში უმეტესი ნაწილი მემარჯვენე სოციალისტებია. მიუხედავათ იმისა, რომ ლიბკნეხტს საერთო პატივისცემა აქვს დამსახურებული, სპარტაკის ჯგუფი ყველგან გამოთიშეს. ბერლინის მემარცხენე გაზეთები მოუწოდებს ხალხს, დარჩენ ქუჩაზე და ხელიდან არ გაუშვან რევოლიუციის საქმე. დამოუკიდებელთა ორგანო შეიდემანის პარტიის წინააღმდეგ გამოდის. ქუჩებში აქა-იქ ჩასაფრებულ ოფიცრებთან შეტაკება ხდება. დამოუკიდებელმა პარტიამ ყველა ქვეყნის დაჩაგრულ მუშათა მიმართ მოწოდება გამოუშვა. მოწოდებაში ნაჩვენებია ზავის ის მძიმე პირობანი, რომლის მიღებას მოკავშირენი აიძულებენ რევოლიუციონურ გერმანიას. დამოუკიდებელნი მოუწოდებენ ყველა ქვეყნის მუ-

შებს მოეხმარონ გერმანიის რევოლიუციას და ძალადობისაგან იხსნან. თუ თქვენ გამოგვყვებით ჩვენ, ამბობს მოწოდება, მაშინ მთელი ქვეყნის კაპიტალიზმის უკანასკნელი საათი დაჰკრავს. მოწოდებას ხელს აწერს: ჰააზე, გოფმანი, ლედებური და სხვ. გერმანიის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს დეპუტატებმა საფრანგეთის, იტალიის, ინგლისის და ამერიკის ხალხს ასეთივე მოწოდებით მიმართეს. ამ მოწოდებაში ნათქვამია: ჩვენ მივმართავთ ყოფილ ჩვენი მტრების სამართლიანობის და სოლიდარობის გრძნობას, სანგრებიდან ვუწვდით მათ ძმურად ხელს. საჭიროა, რომ მუშებმა მთელი თავისი ძალით პროტესტი განუცხადონ თავიანთ მთავრობას და მოითხოვონ, რომ მომავალი ზავი იყოს ძმური ზავი. ეცადეთ, რომ შემსუბუქებულ იქნას დროებითი ზავის პირობები, რომელნიც შიმშილით სიკვდილს უქადის გერმანიას. დაეხმარეთ თქვენი მხრით ისეთი ზავის ჩამოგდებას, რომელიც შეუძლებელს გახდის მომავალში ხალხთა ქლეტას. რევოლიუციონური მთავრობა საფრანგეთში. სტოკჰოლმი. შვეიცარიის დეპეშათა სააგენტო იუწყება შემდეგს: აღარ შეიძლება იმის დამალვა, რომ საფრანგეთში 2 დღის წინად დაიწყო მუშათა მოძრაობა, რომელიც ძლიერდება. კვირას პარიზში დიდი მიტინგები და დემონსტრაციები მოხდა. ერთი მიტინგის შემდეგ მუშებმა დემონსტრაცია მოახდინეს და მოითხოვეს პოლიტიკურ პატიმართა დაუყონებლივ განთავისუფლება. პარიზიდან მიღებულ ცნობებით მოკავშირეთა ფრონტზე ჯარისკაცთა საბჭომ მოლაპარაკება გამართა გერმანელ ჯარისკაცთა საბჭოსთან. ბერნი. კოშენმა შუამდგომლობა აღძრა კლემანსოს წინაშე განთავისუფლების ყველა დაპატიმრებული მუშათა წინამძღოლი. მთავრობა ზომებს იღებს მუშათა ექსცესების წინააღმდეგ. ჰოლანდია. როტერდამი. ჰოლანდიის სოციალდემოკრატები შეთანხმდნენ, შემდეგი პროგრამა წამოაყენეს: საყოველთაო საარჩევნო უფლება, სენატის გაუქმება, რვა საათის სამუშაო დღე და ჯარისთვის დაუყონებლივ იარაღის აყრა. რამოდენიმეჯერ გაიმართა დიდი სახალხო კრება, სადაც სოციალიზმის განხორციელებას მოითხოვდენ. ბერლინი. ლიბკნეხტის ორგანო „წითელი დროშა“, რომელსაც შეიდემანის მთავრობა წინააღმდეგობას უწევს, მაინც გამოდის, მაშინ, როდესაც ებერტი და მისი ჯგუფი ძველი წესწყობილების აღდგენას ცდილობს. სპარტაკის ჯგუფი მოითხოვს გაუქმებულ იქნას გერმანიის კავშირის მთავრობა და გერმანია საბჭოთა რესპუბლიკათ გადაკეთდეს. კიევი. 15 ნოემბერი. გუშინ კიევში სტუდენტებმა საპროტესტო დემონსტრაცია გამართეს სტუდენტების ჯარში გაწვევის გამო. დამით დემონსტრანტ სტუდენტებს აფიცერთა რაზმმა ესროლა. მოკლულია 8 კაცი, დაჭრილთა რიცხვი დიდია. ქალაქის უფროსის განკარგულებით, დღეს ყველა უმაღლესი სასწავლებლები დახურეს. ტელეფონით კერძო ლაპარაკი აღკრძალულია: ქალაქში მღელვარებაა. ვორონეჟი. ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა 12 საათის სამუშაო დღე შემოიღო კიევში და ხარკოვში. კიევი. უკრაინაში მყოფი ყველა სამხედრო ნაწილი გენ. დენიკინს დაუქვემდებარეს. გენერალურ შტაბის უფროსმა განაცხადა, რომ ბოლშევიკების წინააღმდეგ მთლიანი ფრონტი უნდა შეიქმნას. ამ ფრონტზე უკრაინამ შესაფერი ადგილი უნდა დაიკავოს. გამოიცა სწრაფი განკარგულება სამხედრო უწყებისადმი, რომელიც უკრაინის ყველა კორპუსებს დაეგზავნა დეპეშით. ბრძანებაში ნათქვამია, რადგანაც ბოლშევიზმის საფრთხე ძალიან იზრდება, საჭირო არის გაძლიერება. ბობროვის მაზრის სოფელ ჩივლეში ყაზახების წინააღმდეგ გლეხები ამხედრდენ, ამბოხება ჩააქრეს, მეამბოხენი დახვრიტეს. სამარა. უფიდან იუწყებიან, გენერალმა ივანოვმა ბრძანება გასცა, რომ ყველა აფიცრებმა, ჯარისკაცებმა და მოხელეებმა ისევ გაიკეთონ პაგონები და კოკარდები. ყაზანი. გუშინ უცნობმა შეიარაღებულმა პირებმა მოჰკლეს ყაზანის საბჭოს წევრი გუდოჩკინი. ბოროტმოქმედთა დასაჭერათ მიღებულია ზომები. მოგილიოვი. მოსკოვიდან იუწყებიან, რომ ქალაქი გერმანიის რევოლიუციონურმა ჯარმა დაიჭირა. შესდგა ჯარისკაცთა საბჭო. მოსკოვი. სამხედრო ტყვეების დაბრუნების გამო ზომები მიღებულია დახმარების აღმოსაჩენათ. ნოემბრიდან ყველა მოსკოვის სადგურზე მორიგეობა დაიწყო სამხედრო ტყვეების მიღებათ და გამზადებულ სადგომებში დასანაწილებლათ. დაბრუნებულ ტყვეებს საექიმო დახმარებას უჩენენ, სურსათს აწოდებენ და ტანისამოსს ურიგებენ. მოსკოვიდან სამხედრო ტყვეების სამშობლოში გასამგზავრებლათ განსაკუთრებული მატარებელი გადის ყოველ დღე. უკრაინა და დონი დაბრუნებულ ტყვეებს სამშობლოში არ უშვებს. სანამ სამხრეთის ფრონტზე მდგომარეობა არ გამოირკვევა, ისინი მოსკოვში დარჩებიან. დღეს მოსკოვში მორიგი მიტინგი გაიმართა კომუნისტთა ხელმძღვანელებმა დასავლეთის რევოლიუციის მდგომარეობას გააცნეს.

## გერმანული პრესის ცნობები.

გერმანიის ახალ წესწყობილების შესახებ ფორვერტსი „სწერს:“ გერმანიის ფედერალურმა მთავრობამ თავისი თავი გამოაცხადა ცენტრალურ მთავრობათ, რომელსაც შეუძლია გამოსცეს ბრძანება და რომელთაც კანონიერი ძალა უფლება აქვს. ამიტომ ნემეცური ავსტრია უნდა დაემორჩილოს ამ ბრძანებათ, რადგან გერმანიასთან კავშირის შესახებ, ეს ბრძანებანი, ფედერაციის საზღვარში, სავალდებულოა და ავტორიტეტული ამ ახალ რესპუბლიკისთვის. ფედერალურმა მთავრობამ გამოაცხადა, რომ ის თავის ძალა-უფლებას, რომელიც აგრეთვე ყოფილ რეიხსტაგის და ფედერალურ საბჭოს ავტორიტეტს შეიცავს, ისე უყურებს, როგორც დროებითს. ის აცხადებს დამფუძნებელ კრების მოწვევის საჭიროებას, რომლის არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღოს, 20 წლის ზევით ორივე სქესმა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი დაფარული კენჭის ყრით. ყოველგვარი სხვა არჩევნებიც ამ საარჩევნო უფლების თანახმად უნდა მოხდეს. „ფორვერტსი“ ამტკიცებს, ამით ცხადი ხდება, რომ გერმანიის რესპუბლიკას ნამდვილათ საბჭოთა კონსტიტუციის ტენდენცია არა აქვს და ესწრაფვის დემოკრატიზაციას, ჩვენი სოც.-დემოკრატიულ ერფურტის პროგრამის თანახმათ. ამ მიმართულების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ კანონის — ძალით რუსეთის საბჭოს არჩევნები არ არის საყოველთაო. ცენტრალურ საბჭოს ირჩევენ ადგილობრივი საბჭოები და ამიტომ არჩევნები არ არის პირდაპირი. მაშასადამე თანასწორი საარჩევნო უფლება, ამ შემთხვევაში უფრო შეზღუდულია, ვიდრე პროპორციონალურ სისტემით წარმოებულ საგუბერნიო არჩევნების დროს. დასასრულ არჩევნებს ფარულობის არავითარი გარანტიაც არა აქვთ, და ამიტომ არჩევნები თავისუფალი არ არის ისე, როგორც ძველ გერმანიაში რეიხსტაგის არჩევნების დროს. ამის გამო საყოველთაო, თანასწორი, პირდაპი და ფარული ხმის მიცემა არ შეეფერება საბჭოთა კონსტიტუციას, შემდეგ „ფორვერტსი“ ამბობს, რომ საბჭოთა თეორია ენათესავება პანგერმანულ ძალადობის თეორიას. გერმანიის რესპუბლიკის დღიური ლოზუნგი არის არა „მთელი ძალა-უფლება საბჭოებს“, არამედ „მთელი ძალა-უფლება ხალხს“, ამიტომ გაზეთი მხარს უჭერს საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და ფარულ ხმის მიცემას, დამფუძნებელ კრებას, ახალ ფედერალურ მთავრობას ჰპირდება დახმარებას და დაცვას ყოველგვარ ჩაგვრისა და ძალადობისგან; ეს უნდა იყოს დღეს ჩვენი ლოზუნგი. აზრების თავისუფალი გამოთქმა კავშირების, ყრილობის და სინიდისის თავისუფლება შეადგენენ ახალი კანონების შინაარსს მომავალში. ეს ეწინააღმდეგება საუბედუროთ, იმასაც, რაც ახლა რუსეთში უფლებათ ითვლება.

ქება დიდება ჩვენ, რომ მოწინააღმდეგეთ სრულ თავისუფლებას ვანიჭებთ რევოლიუციონურ მოძრაობაში და მის გარეშე მაშინ, როდესაც რუსეთში ბურჟუაზიის გარდა მენშევიკურათ მოაზროვნე სოციალისტებსაც აპატიმრებენ. შეუძლებელია ჩვენში მოხდეს ეს, რადგანაც ჩვენში სამხედრო წესები გავაუქმეთ.

ოფიციალურ ცნობების თანახმად გაზეთი „დეიტშე ალგემეინე-ცეიტუნგი“ გაზეთების ცნობას იმის შესახებ, რომ ვითომც გერმანიასა და იაპონიის შორის ფარული ხელშეკრულება იყო, თავიდან ბოლომდე სიყალბეს უწოდებს.

პროფესორ ბრაუნო ბიოტოს ვაშინგტონში: „ძვირფასო მისტერ ბიოტ, კვირას, „ხალხთა უფლებისთვის მებრძოლ გერმანიის კავშირში“, პროფესორ შუკინგის თავმჯდომარეობით, ჩვენ გამოვიმუშავეთ ხალხთა ლიგის ორგანიზაციის სქემა, უფრო ახალი და დემოკრატიული, ვიდრე აქამდის იყო. ახლა ჩვენ გვაიძულებენ მივიღოთ დროებითი ზავის მკაცრი და შეუბრალებელი პირობები, რომელიც შიმშილით სიკვდილს უქადის გერმანიის ხალხს, რომელსაც მხოლოდ ის უნდა, რომ თავისუფალი და ხალხთა ოჯახში სრულუფლებიანი წევრი იყოს. ამიტომ მე გულმხურვალეთ გთხოვთ გავლენა იქონიოთ პრეზიდენტზე, რომ მან აიძულოს მოკავშირენი შეამსუბუქონ დროებითი ზავის პირობები. თქვენი ერთგული მეგობარი დ-რი კარლ სტრუპი. „პრეზიდენტ ვუდრო ვილსონს, ვაშინგტონში: „ბ-ნო პრეზიდენტო, თქვენს სიტყვაში, რომელიც 2 აპრილს კონგრესის ორივე პალატის შეერთებულ სხდომაზე წარმოსთქვით, თქვენ განაცხადეთ, რომ თქვენ არ ებრძვით გერმანიის ხალხს და რომ თქვენ მხოლოდ პატივისცემა და მეგობრული განწყობილება გაქვთ გერმანიის ხალხისადმი. მთავრობა, რომელსაც შეერთებულმა შტატებმა ომი გამოუცხადა აღარ არსებობს. გერმანიის ხალხს არაფერი არ სურს იმის გარდა, რომ იყოს თავისუფალი და მშვიდობიანათ იცხოვროს ყველა ერთან, რომელიც ხალხთა ლიგაში იქნება შეერთებული. მაგრამ გერმანიის ხალხისთვის შეუძლებელი იქნება ხალხთა ლიგაში შესვლა იმ დროს, როცა დროებითი ზავის პირობანი შიმშილით სიკვდილს უქადის

* * *

(მეოცნებე)

ხან ბერად ალვიკვეცები,
შევიმოსები შავადა,
მთაწმიდის ბილიკს გავჰყვები,
ავალ ღვთის სალოცავადა;
ხან ცაში შევინავარდებ,
ღრუბლებში ვიწყებ ფრენასა,
ჩანგის სიმთ წკრიალს ვუერთებ
ფრინველთა ჭიკჭიკ-სტვენასა;
ხან სულ ძირს ჩამოვეშვები,
უჩინრად, უხილავადა,
მუშათა უბნებს დავივლი,
მოძმეთა სანახავადა;
ვნახავ, გულ დასმით მოვისმენ
ვარამს მუშათა გულისას
და ბულბულივით ვიმღერებ
ნაამბობს დაჩაგრულისას.

გ. ქუჩიშვილი.

მას. ამიტომ, გულწრფელათ გთხოვთ გავლენა იქონიოთ მოკავშირეებზე შეუმსუბუქონ მძიმე და აუტანელი პირობები წარმოუდგენელ გასაჭირში ჩავარდნილ ხალხს. ამერიკის საერთაშორისო უფლების კავშირის წევრი დ-რი კარლ სტრუპი“.

ვაშინგტონში, სტატს სეკრეტარს ლანსინგს. გერმანიის მთავრობა და გერმანიის ხალხი სიამოვნებით აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა გამოსთქვა სურვილი გერმანიას სურსათი მიაწოდოს. საჭიროა ამ საქმის დაჩქარება. დროებითი ზავის მძიმე პირობების მიღება, განსაკუთრებით ის, რომ ჩვენი მცირედი სურსათით უნდა გამოვკვებოთ ფრონტიდან წამოსული ჩვენი ჯარი, ჩრდილოეთის და ბალტიის ზღვებში ბლოკადის გაგრძელებით გამოწვეული მიმოსვლის შეწყვეტა და აღმოსავლეთში უწესოებით ჩვენი საწყობების საფრთხეში ჩავარდნა—ჩვენ მდგომარეობას დღითი დღე აუტანელს ხდის. მხოლოდ სწრაფი დახმარებით შეიძლება ანარქიის აცილება. ამიტომ მწამს, რომ უქმი არ გამოდგება პრეზიდენტის მიმართვა, სადაც ვთხოვ გერმანიის ხალხი შიმშილსა და ანარქიას გადაარჩინოს და, რაც შეიძლება, მალე გამოგზავნოს ჰააგაში ან სხვაგან რწმუნებულნი, რომელნიც გერმანიის ხალხის რწმუნებულებთან ერთად ითათბირებენ იმაზე, თუ რა გზით შეუძლია ამერიკის მეგობრულ დახმარებას დროზე ააცილოს ჩვენი სამშობლო ხიფათს და ცუდი მდგომარეობიდან გამოიყვანოს. საქმის მდგომარეობა შესაძლებლად ხდის დახმარების საქმე გადაეცეს ბელგიაში თავის მუშაობით ცნობილ ბ. სტუვერს გარეშე საქმეთა სტატს სეკრეტარი სოლფი“.

18 ნოემბერი.

**ინგლისის პრესა.** 16 ნოემბერი. შეერთებულ შტატებთან ერთად მოკავშირეთა შორის შესდგა ორგანიზაცია, რომლის მიზანია დაეხმაროს დამშეულ მოწინააღმდეგეს. ვილსონმა აღუთქვა მოწინააღმდეგეს სურსათით დახმარება. ვაშინგტონის გაზეთები იუწყებიან ცენზურის მოხსნის შესახებ. რეიტერის სააგენტოს აუწყებენ, რომ ახლო მომავალში პრეზიდენტი ვილსონი ინგლისში გაემგზავრება.

შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენელნი სპააში ჩავიდენ გერმანიის საქონელის ჩასაბარებლათ. გერმანელთა დელეგატები ნანსშა ჩავიდენ და რკინის გზები ელზას ლორენის სამხედრო კომისიას ჩააბარეს. უკან დახევის დროს ჯარისკაცებმა რამდენიმე აფიცერი დახვრიტეს. კრონპრინცი ჰოლანდიაში გაიქცა, სადაც მას იარაღი აჰყარეს. ლინსინგმა უპასუხა სოლფს მის რადიო დეპეშაზე, რომლითაც ის დაბეჯითებით მოითხოვდა ზავის ჩამოგდებას, რომ თანახმაა ასეთ წინადადებით მიმართოს ყველა მოკავშირეს.

**ცნობები იტალიიდან, 16 ნოემბერი.**

**პარიზი.** სენატის სხდომაზე კენჭი უყარეს კლემანსო-ფოშის რესპუბლიკის მთავრობის კანონის პროექტს, სხდომა მარსელიოზის სიმღერით დასრულდა.

**სოფია.** მთავრობამ დაადგინა გამოაცხადოს საალყო წესები.

**ამსტერდამი.** ვარშავაში გერმანელ ჯარისკაცთა და მცხოვრებთა შორის შეტაკება მოხდა.

**ლიონი.** დიდი გერცოგი ოლდენბურგი ტახტიდან ჩამოაგდეს.

**გერმანული პრესის ცნობა.**

ბავარიის ახალი მთავრობა ფიქრობს ყველა სახელმწიფო კოშკი სახალხო განათლების და ჰიგიენის საქმეს მოახმაროს.

პრუსიის მთავრობამ მეფეს ძალადობით შეძენილი ქონება ჩამოართვა და პრუსიის ფინანსთა სამინისტროს გადასცა. მეფისა და მისი ოჯახის კერძო საკუთრება ხელშეუხებელი დარჩა.

ყოფილმა მეფემ ლიუდვიგ ბავარიელმა ერთგულების ფიციდან აფიცრები გაანთავისუფლა. ბავარიის სახალხო სახელმწიფოს მინისტრთა საბჭომ შეიწყნარა მეფის განცხადება ტახტიდან გადადგომის შესახებ და განაცხადა, რომ ყოფილ მეფეს და მის ოჯახს შეუძლია იცხოვროს ბავარიაში ისე, როგორც სხვა მოქალაქეს, თუ ბავარიის სახალხო სახელმწიფოს წინააღმდეგ არ იმოქმედებენ. შემდეგ ბავარიის სახალხო სახელ. მთავრობა აცხადებს, რომ ბანკებში და შემნახველ კასებში შეტანილ თანხის კონფისკაცია არ მოხდება. საქსონიის მეფე ტახტიდან გადადგა და ყველა გაანთავისუფლა ერთგულობის ფიციდან. პრინცებმა ველდეკელმა და პირმონტელმა უარი განაცხადეს თავის უფლებებზე.

რუსეთიდან მოსულ ცნობების თანახმად გერმანიის გენერალურ საელჩოს შტაბი მოსკოვში დააკავეს. გერმანიის გენერალურ საელჩოს შტაბი პეტროგრადში რევოლიუციონურმა კომიტეტმა დააპატიმრა წითელ გვარდიელების დახმარებით. ეს აქტები ეწინააღმდეგება ექსტერიტორიალობის უფლებას, რისთვისაც რუსეთი პასუხს აგებს. ამ ამბის გამო გერმანიის მთავრობამ განმარტება მოსთხოვა რუსეთის მთავრობას.

16 ნოემ. ჩეხო-სლოვაკების რესპუბლიკის პრეზიდენტათ პროფესორი მასარიკი აირჩიეს. პრემიერ მინისტრად დ—რი კრამარჟი.

გალაციის სოც. დემ. პარტიის ლიდერი დაშინსკი პოლონეთის მთავრობის პრემიერ-მინისტრათ დაინიშნა. მასვე აქვს მინდობილი კაბინეტის შედგენა.

# ახალი ამბები

◆ **ვერის ხიდის აფეთქების განზრახვა.** 17 ნოემბერს, დილით ვერის ხიდის მარჯვენა ნაპირზე იპოვეს დინამიტი და სხვა ასაფეთქებელი მასალები.

◆ **ჯარში გაწვევა სომხეთში.** სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის ბრძანებით, დაუყონებლივ უნდა გამოცხადდენ სამხედრო ბეგრის მოსახდელად ახალგაზდები 20—25 წლამდე.

◆ **სამხედრო მინისტრის ბრძანებით** აღკრძალულია გაზეთებში ისეთი ცნობების მოთავსება, რაც სახელმწიფო საიდუმლოებას შეადგენს. არ შეიძლება მოთავსდეს უნებართოთ შემდეგი ცნობები: 1) ჯარის რეორგანიზაციის, მის შემადგენლობის და რიცხვის შესახებ; 2) ჯარის ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა, გარნიზონის რიცხვის აღნიშვნა და აგრეთვე რაზმებისა; 3) არსებული და ასაშენებლათ განზრახულ ციხე-სიმაგრეებზე; 4) ჯარის შეიარაღების შესახებ და 5) გზების მდგომარეობაზე. ამ ჩამოთვლილ კითხვებზე დაწერა შეიძლება მხოლოდ სამხედრო სამინისტროს საერთო განყოფილების ნებართვით.

◆ **კარჩიკიანის მკვლელი.** 14 ნოემბერს ღამით ერევანში მთავრობამ გამოაცხადა, სომხეთის მზრუნველობის მინისტრის კარჩიკიანის მკვლელი პრაპორშჩიკი ეგორი ტერ-მინასიანცი.

◆ **სომხეთის დიპლომატიური მისიის** საინფორმაციო ბიუროს ცნობით, უკანასკნელ დღეებში, ვიღაც უცნობნი ადგილობრივ სომეხთა შორის ფულს აგროვებენ, თითქოს რაღაც სანაპირო სადარაჯოს ორგანიზაციის შესაქმნელად. საინფორმაციო ბიურო საყოველთაოდ აცხადებს, რომ არც სომხის მთავრობაც და არც მის დიპლომატიურ მისიას საქართველოში არავისათვის არ მიუნდვია ფულის შეგროვება.

◆ **გერმანო-კავკასიის სავაჭრო ბანკი.** გოლოვინის პროსპექტზე, არამიანცის სახლში, გახსნეს გერმანო-კავკასიის სავაჭრო ბანკი.

◆ **ვალ. შალიკაშვილის ავადმყოფობა.** მეორე თვეა, რაც მძიმედ ავად არის ჩვენი ნიჭიერი მსახიობი ვალ. შალიკაშვილი. ექიმები თითქმის იმედს აღარ იძლევიან. საზოგადოება უთუოდ მიხვდება, რა მატერიალურ გაჭირვებასაც განიცდის ავადმყოფი. საჭიროა დაუყონებლივი დახმარება.

◆ **თავდასხმა.** 16 ნოემბერს ღამით ანდრეევის ქუჩაზე № 108, გარბაჩოვის მაღაზიაში შევიდა 6 ბოროტ-გამზრახველი და წაიღეს 10 ათასი მანეთის სხვადასხვა საქონელი. მე-12 კომისარიატის მილიციონერებმა ექვსივე ბოროტმოქმედი დაატუსაღეს.

◆ **ფეხსაცმელების სახელოსნო სკოლა.** კავკასიის ქალთა საზოგადოების ქართულმა სექციამ გახსნა ფეხსაცმელების სახელოსნო სკოლა, რომელშიაც მიიღებიან ხელობის შესწავლის მსურველნი. სახელოსნო იმყოფება ბელინსკი ქუჩაზე (ვერაზე) № 14.

◆ **თფილისის მუშათა დეპუტატების** საბჭოს სხდომა შესდგება სახალხო სახლში ოთხშაბათს, 20 ნოემბერს საღამოს 6 საათზე მოხსენებებს წაიკითხავენ გერმანიის რევოლიუციის შესახებ ნ. ჟორდანია, კ. ჩხეიძე და ირ. წერეთელი. დარბაზში შესვლა შეეძლებათ საბჭოს დეპუტატებს და სოციალისტურ პარტიათა წევრებს.

◆ **სალამი.** გორის სოციალდემოკრატიული კოლექტივი სალამს უძღვნის სოც.-დემ. პარტიულ ყრილობას.

◆ **ლექცია.** დღეს, 19 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ლექცია: 1) ექ. მაისურაძისა „ანატომია“, 2) ექ. ტურიაშვილისა „ჰიგიენა“.

◆ **ავათმყოფობა გურიაში.** ოზურგეთიდან მოსული ცნობით, იქ და საზოგადოთ გურიაში, ინფლუენციის საშინელი ეპიდემია მძვინვარებს; სიკვდილი ძლიერ გახშირებულა. ამ სენის გახშირებას ხელს უწყობს ექიმების უყოლობა, ვინაიდან აფთიაქებში ამ ჟამათ არ მოიპოვება ბევრი საჭირო მედიკამენტები, რაც კრიტიკულ მდგომარეობაში აგდებს მცხოვრებთ.

◆ ქართული ენის სიტყვათა ლექსიკონი შედგენილი ივ. იმედაშვილის მიერ მიიღო რედაქციამ. წიგნი სუფთად არის გამოცემული და ღირს სამი თუმანი.

◆ **ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების სკოლაში** (გაბაანთ ქუჩა, № 3) იყიდება ნაქარგი თეთრეული. ნახვა შეიძლება მუდამ დღე დილის 9 საათიდან 3-ნახევ. აგრეთვე მიიღებიან მოწაფენი ჭრა-კერვის კურსებზე.

**ქ რ ო ნ ი კ ა.**

ოთხშაბათს, 20 ნოემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, მე-6 ვაჟთა გიმნაზიაში (უდელის № 3), შესდგება ახალ. მარქ. ორგ—ების ცენტრალურ კომიტეტის და თფილისის კომიტეტის შეერთებული, სასწრაფო სხდომა. სთხოვენ ამხ. სერგო შილაკაძეს დაესწროს ხსენებულ სხდომას.

— ოთხშაბათს, 20 ნოემბერს, დანიშნულია მე-2 რაიონის მე-3 მცირე-კოლექტივის კრება, კოლექტივის ბინაზე.

**პროვინციის ქრონიკა.**

**ს. ძახვი.** ეს სოფელი კარგათ მოზრდილია, მცხოვრებთა რიცხვი 500 კომლამდე არის. სოფლისთვის ფრიად საჭიროებას შეადგენდა ყოფილი თავადი გიორგი ამილახვრის სახლკარი, სადაც სოფელს განზრახვა ჰქონდა მოეწყო სავათმყოფო, მაგრამ ზოგიერთი პირების წყალობით ეს არ მოხერხდა და სახლი კერძო პირმა შეიძინა. ასევე კერძო პირებმა შეისყიდეს მარიამ ამილახვრის მშვენიერი ვენახი, რომელიც სოფლის საზოგადოებას ფრიად დიდ სარგებლობას მოუტანდა. საჭიროა ყურადღება მიექცეს ჩვენივე სოფლის ზოგიერთ მცხოვრებლებს, რომელნიც თავიანთ კერძო ინტერესებს საერთო საქმეებზე მაღლა აყენებენ.

**ნიგოითის** (გურია) საზოგადოების მცხოვრებნი ახალ ეპიდემიის „ისპანკის“ ცეცხლის ალშია გახვეული. ხალხი უმოწყალოდ იხოცება, შველა არსაიდან არ არის. მივაქცევთ ყურადღებას ვისაც ჯერ არს მცხოვრებთა ასეთ უნუგეშო მდგომარეობაზე.

# მერვე ყრილობა

**ს.-დ. მ. პარტიის წარმომადგენელთა.**

**13 ნოემბრის სხდომა.**

**ნ. რამიშვილის** მოხსენების შესახებ ლაპარაკობენ ი. ირემაშვილი, ლ. დავითაია და ზ. გურული. ორატორები საერთოდ კმაყოფილი არიან მთავრობაში მყოფ ამხანაგების მუშაობით და აღნიშნავენ, რომ ისინი სწორ ხაზს ადგენენ და სავსებით ასრულებდნენ მიცემულ დირექტივებს და მათი მოქმედება საგარეო პოლიტიკაში, ეს იყო მუდმივი გამარჯვება. მაგრამ ეს სავსებით არ შეიძლება ითქვას შინაურ საქმეებზედ.—ეს მხარე თითქმის მივიწყებული იყო. შინაურ საქმეების გადაჭრა მოწესრიგებაში ორატორები აღნიშნავდენ ზოგიერთ დეფექტებს: მთავრობა მეტის მეტ სისუსტეს იჩენს დამნაშავეთა დასჯაში, ამით ხალხი უკმაყოფილოა. მართალია, კანონი არსებობს, პარლამენტის მიერ მიღებული, მაგრამ მას ცხოვრებაში არავინ არ ანხორციელებს და ეს ხალხს გულს უტეხს. სოფლის ადმინისტრაცია თავის სიმაღლეზე არ სდგას, ბევრ ძველ მოხელეებს უჭირავთ პასუხსაგები ადგილები. ერთი ორატორთაგანი აღნიშნავდა რაიონული და სოფლის კომისრების ჯამაგირის სიცოტავეს და ამბობდა, რომ ეს გარემოება ხელს უწყობს ბოროტმოქმედებას და რესპუბლიკანურ წყობილების წინააღმდეგ ხალხში ნიადაგს ამზადებს, რადგანაც სოფლის და რაიონის კომისარი ეს ხალხისათვის რევოლიუციაც არის და რესპუბლიკაც. თუ კარგია კომისარი, მისი აზრით მაშინ რესპუბლიკაც კარგია და ასე. მთავრობის პასუხი რომ, გადასახადები არ შემოდის, ხაზინა ცარიელია და სოფლის ადმინისტრაციაც ჯეროვანად ვერ მოვაწყვეთო, არ არის დამაკმაყოფილებელი. შეიძლებოდა იძულებითი სესხი გამოეცათ და საქმე მოეგვარებიათო, ამბობდენ ორატორები.

**ფირუმოვი.** აღნიშნავს რომ საკითხი უნდა დაისვას არა ცალკე დეფექტების მხილების შესახებ, არამედ საერთოდ მთავრობის პოლიტიკურ კურსზე. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ტაქტიკაა, რაც შეიძლება ფართე დემოკრატიზაცია და კლასობრივ ბრძოლის პრინციპის მიხედვით პირდაპირი ხაზის ტარება პოლიტიკურ სფეროში. ეჭვი არ არის, რომ ჩვენს წარმომადგენლებს სურვილი ჰქონდათ პოლიტიკური ხაზი მიემართათ ისე, როგორც ამას მოითხოვდა სოც. დემოკრატიული პარტიის პრინციპები, მაგრამ ერთია სურვილი და მეორეა—საქმე, ამა თუ იმ პრინციპის ცხოვრებაში გატარება. ჩვენი მთავრობა გაჰყვა ნაციონალისტურ მიდრეკილებებს.—მან შეკრა ბლოკი ნაციონალისტურ პარტიებთან—დაშნაკცაკანებთან და მუსავატელებთან. ამ ბლოკის შეკვრით ჩვენ მარცხენა ხელით ვაფუჭებდით იმას, რასაც ვაკეთებდით მარჯვენა ხელით. ჩხენკელის გამგზავრება [illegible] ნაციონალისტური [illegible] გამოწვეული [illegible] ნი მთავრობა შეიქმნა [illegible] ვამდე და ამ ხნის განმავლობაში ჩვენი პარტია არც ერთხელ არ გამოსულა, როგორც კლასობრივი და პროლეტარული პარტია, არამედ,—როგორც ნაც. პარტია. და მე ვგრძნობ, რომ ეს ნაციონალისტური პოლიტიკა ჩვენ მიგვიყვანს იზოლიაციამდე. საჭიროა თავის დროზე უარყოფილ იქნას ეს ნაციონალისტური პოლიტიკა. მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მთავრობამ ვერ შესძლო თითქმის პროგრამა მინიმუმის განხორციელება. ეს ჩემის აზრით იმით აიხსნება, რომ მთავრობა მიდიოდა ბურჟუაზისთან კომპრომისებზე, დათმობაზე. სოციალ-დემოკრატიული პარტია საერთაშორისო მოძრაობის დაწყების დროს უნდა დადგეს წმინდა კლასობრივ ბრძოლის გზაზე.

**ნ. ჟორდანია.** მე ავიღე სიტყვა იმიტომ, რომ პასუხი გამეცა იმ ამხანაგებისათვის, რომელნიც აღნიშნავენ მთავრობის დეფექტებს, მაგრამ ამ დროს ამხ. ფირუმოვმა წამოაყენა საკითხი ჩვენი პოლიტიკური ხაზის შესახებ და მე სიამოვნებით მსურს მას ვუპასუხო. საქმე იმაშია, რომ დემოკრატიულ წყობილების აშენების დროს ჩვენ გვხდება მოქმედება ნაციონალურ ფარგლებში. დღეს თურმე ამხ. ზურაბოვი გვიკიჟინებდა ჩვენ, რომ ნაციონალ-დემოკრატებათ გადაიქეცითო. მაგრამ თუ ნაციონალურ ფარგლებში, ჩარჩოებში მუშაობა ნიშნავს ნაციონალ დემოკრატობას, მაშინ ყველა ქვეყნის სოციალ-დემოკრატები ნაციონალ-დემოკრატები ყოფილან. ჩვენ არ გვსურს ვიყოთ ბრიყვ კოსმოპოლიტებათ. ჩვენ ვდგევართ შემდეგ თვალსაზრისზე: თუ რაიმეს გაკეთება შეუძლებელი ხდება ფართე მასშტაბით, მაშინ ის უნდა გაკეთებულ იქნას ვიწრო ფარგლებში. ამიტომ უწოდებენ თავის თავს მარქსისტებს ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ ნაციონალური სახელმწიფოს შენება ნიშნავს მარქსიზმის ღალატს. ისეთი ცნობილი მარქსისტ-თეორეტიკი, როგორიც არის კარლ კაუცკი ნათლად ამბობდა, რომ თუ ავსტრო-უნგრეთს ჰსურს გარდიქმნას დემოკრატიულ საფუძველზე, ის უნდა დანაწილდეს ცალკე ნაციონალურ სახელმწიფოებათ და შემდეგ უნდა გაერთიანდეს ფედერატიულ ნიადაგზე. რაც შეეხება ამხ. ფირუმოვის ბრალდებებს, მე უნდა ვუპასუხო, რომ ჩვენი პოლიტიკური ხაზი იყო კლასობრივი და შემდეგშიაც ასეთი იქნება და ისინი, ვინც ჩვენ ბრალს გვდებენ ნაციონალისტობაში, ანუ ნაციონალ-დემოკრატობაში, ან დაავიწყდათ დანახვა იმისი, რაც არის, ან და არ უნდათ დაინახონ ის, რაც სინამდვილეში არის. უსაფუძვლოა აგრეთვე ამხ. ფირუმოვის ბრალდება, რომ ჩვენ ნაციონალ-დემოკრატებთან ბლოკი შევკარით. როგორ უნდა შევეკრათ ბლოკით სომხის ხალხს თუ არა მთავარი პარტიის საშუალებით? სამწუხაროთ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ არა გვყავს პოლიტიკური დემოკრატია, ამაში უმთავრესად დამნაშავე არიან ჩვენი ამხანაგები, რომელიც გლეხთა მასსის გულის მოგების სურვილით გლეხობას მოუწოდებენ გადასახადების გარდაუხდელობაზე და სხვა. იმ ამხანაგებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ ჩვენ ნაციონალ დემოკრატებათ გავხდით და ამას იმიტომ ამბობენ, რომ ჩვენ ვაშენებთ ნაციონალურ სახელმწიფოს, სჩანს დავიწყებიათ ისტორიაც და მარქსიზმიც. კარგი იქნება რომ ისინი დაუბრუნდენ მარქსიზმს.

კამათი შეწყვეტილია. ზურაბოვი ითხოვს სიტყვას. კრება მას აძლევს ლაპარაკის ნებას ათი წუთით. ირ. წერეთელს წინადადება შეაქვს მიეცეს 10 წუთით სიტყვა ფირუმოვსაც. წინადადება მიღებულია.

**ზურაბოვი.** ნოე ჟორდანია დღეს ჩემი სიტყვის დროს აქ არ იყო, და როგორც სჩანს, ჩემი ნათქვამი მისთვის სწორედ არ გადაუციათ, მაგრამ მე ის იმდენად ვიცნობ, რომ არასოდეს არ უნდა დამწამოს კოსმოპოლიტობა, აბსოლიუტური ჭეშმარიტება არ არსებობს; არ შეიძლება ყოველ-გვარ პირობებში ნაციონალურ სახელმწიფოს შენებას პროლეტარული საქმე ვუწოდოთ, ჩემის აზრით, ამიერ კავკასიაში ნაციონალური სახელმწიფოების შექმნა მიმართულია პროლეტარიატის ინტერესების წინააღმდეგ, ვინაიდან ამიერ-კავკასია წარმოადგენს ერთ მთლიან სამეურნეო ერთეულს. სულ სხვაა ავსტრო-უნგრეთი, სადაც სახელმწიფო არ წარმოადგენს ერთ მთლიან სამეურნეო ერთეულს. ნოე ნიკოლოზის ძემ მე მისაყვედურა მარქსიზმის ანბანის დავიწყება. ამხანაგო, მე უნდა გაგაფრთხილოთ, რომ თქვენ ნაციონალ-დემოკრატების ტყვეთ იმყოფებით. ჩვენი ამხანაგები, რომლებიც მთავრობაში არიან, შესდგენ ნაციონალისტურ გზაზე და ამას შეუძლია ხალხი დაღუპვამდე წაიყვანოს.

ფირუმოვი ამბობს, რომ ჩვენი ამხანაგების ნაციონალისტურმა მიდრეკილებებმა დაჩრდილა პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნება. როცა ჩვენ ვაკეთებთ დემოკრატიის საქმეს, უნდა ვეცადოთ, რომ პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნება" არ დაიჩრდილოს. ორატორი არ ეთანხმება ჟორდანიას ჩვენი დემოკრატიის დაფასებაში და ამბობს, რომ მთელ რუსეთში მხოლოდ ჩვენმა დემოკრატიამ გამოიჩინა პოლიტიკური მომზადება—სიმწიფე. ამას მოწმობს ჩვენი საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

ნ. ჟორდანია. მე გადმომცეს, რომ ზურაბოვმა განაცხადა, ვითომ ჩვენ ვაკეთებთ ნაციონალ-დემოკრატების საქმეს. ზურაბოვმა ეს პირველად უარჰყო, მაგრამ ბოლოს კი ეს სავსებით გაიმეორა, ზურაბოვის აზრით, ამიერ-კავკასია უნდა გავაერთიანოთ, რადგანაც ის დაიქუცმაცა დამარცხებამ. ცხადია, უნდა გაერთიანებულ იქნას აგრეთვე ავსტრო-უნგრეთი, რომლის დაქუცმაცებაც დამარცხების შედეგი იყო. ამხ. ზურაბოვი ჩვენ გვირჩევს რუსეთთან შეერთებას. მაგრამ, რომელ რუსეთს უნდა შევუერთდეთ? ალექსეევის რუსეთს, თუ ბოლშევიკებისას? არც ერთთან და არც მეორესთან შეერთება ჩვენ არ გვსურს და არც შეგვიძლია.

დასასრულ მომხსენებელი უპასუხებს ყველა ორატორებს და კონკრეტიული საბუთებით არღვევს მოწინააღმდეგეთა მიერ წამოყენებულ ბრალდებებს და აღნიშნულ დეფექტებს. ა. ხ.

### მილოცვის დეპეშა.

ყრილობამ, 17 ნოემბრის სხდომაზე განიხილა რა ამხ. გრ. გიორგაძის და ვ. ჯუღელის მოხსენებანი ჯარსა და გვარდიაზე, შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „ყრილობა სალამს უძღვნის საქართველოს რესპუბლიკის ჯარს. ყრილობას სწამს, რომ ახალგაზრდა ჯარი შეასრულებს თავის მოვალეობას და მტკიცეთ დაიცავს დემოკრატიულ წესწყობილებას და ჩვენს დამოუკიდებლობას შინაურ და გარეშე მტრებისაგან".

## საქართველოს პარლამენტი

### 15 ნოემბრის სხდომა.

შეკითხვა პარლამენტის წევრთა თარხნოვისა და თუმანოვისა იუსტიციის და შინაგან საქმეთა მინისტრისადმი, სასამართლოს განუსჯელად პოლიტიკურ პატიმართა სატუსაღოში უბრალდებლოთ დამწყვდევის შესახებ.

თარხნოვი (რუსულად). რაცეს შეკითხვა შემოვიტანეთ პარლამენტში, სამ კვირაზე მეტია, სიმშილობა სატუსაღოებში აღარ გრძელდება, ზოგს მათგანს ბრალდებები წარუდგინეს, მაგრამ მაინც ეს შეკითხვა არ კარგავს მნიშვნელობას და აქვს კავშირი სამხედრო წესების გამოცხადებასთან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ არ ჰქონდეს დემოკრატიულ სახელმწიფოში ადგილი იმ განსაკუთრებულ რეპრესიებს, რომლის მოწამენიც ჩვენ ვართ, არ არის დაცული ადამიანის პიროვნება, საჭირო არის ამას პარლამენტმა ყურადღება მიაქციოს.

შ. მესხიშვილი (იუს. მინ.). პარლამენტის წევრნო, როგორც შეკითხვის ტექსტიდან სჩანს, ის პირნი დატუსაღებული ყოფილან ადმინისტრატიულ წესით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ. უნდა მოვაგონო შემკითხველს, რომ 2 აგვისტოს კანონით, რომელიც ხელმოწერილია კერენსკის და ზარუდნის მიერ, უფლება აქვს მთავრობას დაატუსაღოს ადმინისტრატიულ წესით ყველა ის პირნი, ვინც არსებულ წესწყობილების დანგრევას განიზრახავენ და კონტრრევოლიუციონერობაში შენიშნული იქნებიან. ასეთივე წესით იქნენ დატუსაღებულნი ის პირნი, ვისაც იცავს შემკითხველი. ეს მოხდა შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით. შეიძლება ამ საქმისთვის ფორმალურათ შევგვხედნე, რომ ეს ჩემ კომპეტენციას არ შეადგენს და ამით დავკმაყოფილებულიყავი, მაგრამ რადგანაც მე სოლიდარული კაბინეტის წევრი ვარ და ვიზიარებ იმ აზრს, რასაც ამ შემთხვევაში მთავრობა ადგა, მინდა ამ საკითხს არსებითადაც შევეხო. შეკითხვის ავტორნი ამბობენ, როდის დადგება ის დრო, როდესაც სასამართლოს გარეშე დატუსაღება მოისპობა. რასაკვირველია, არ მოიპოვება ისეთი პიროვნება, ვისაც ნორმალურ პირობებში მიაჩნდეს შესაძლებლათ ადმინისტრატიულ წესით დასჯა ადამიანის, მაგრამ როდესაც ცდილობენ დაგვანგრიონ და მთავრობას ექვსი თვის განმავლობაში არ ჰქონია შეძლება ექვსი დღე თავისუფლად ამოესუნთქა და ამისთანა დროს განა შესაძლებელია ლაპარაკი ამ გვარი რეპრესიების მოსპობაზე. შეიძლება მათთვის, ვისთვისაც ხელსაყრელია სახელმწიფოს დანგრევა-დაქცევა, ხელსაყრელი იყოს და სასამართლოს განუსჯელათ დატუსაღება მოისპოს, მხოლოდ ვისაც სურს ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა გაამაგროს, ის ასეთ ზომებსაც დაეთანხმება. შეკითხვებში სწერენ, როდის იქნება ყველა ეს მოსპობილი. მაშინ, როდესაც მოგვეცემა შეძლება, აღმაშენებლობითი მუშაობის, მხოლოდ მაშინ შეიძლება უზრუნველყოფილი იყვეს მოქალაქე და სასამართლოს განუსჯელათ არ დაისჯება.

კ. ნინიძე. პარლამენტის წევრნო! მე სავსებით ვეთანხმები შეკითხვის ავტორს, რომ ამ შეკითხვას არ დაუკარგავს მნიშვნელობა. თავის-თავად ის საბუთი, რომ მელზედაც აშენებული იყო ეს შეკითხვა, არ იყო სერიოზული და აკი ამიტომაც სასწრაფო შეკითხვასა უარჰყო პარლამენტმა. ის ადამიანები, რომლებიც არღვევენ არამცთუ დემოკრატიულ კანონებს, არამედ—იწონებენ იმ პოლიტიკას, რომელიც სპობს ყოველივე საზოგადოებრიობას და აქაც ისევ განაგრძობენ მუშაობას, სერიოზულათ არ ჩაითვლებათ რადიც საქმის მიუდგომლობა. ეს ერთგვარი თამაში იყო. ეს იყო პოლიტიკური დემონსტრაცია, ამის საშუალებით სურდათ ერთგვარი აგიტაცია გაეწიათ. თუ მივადევნებთ მხედველობაში იმ ორიენტაციას, რომელსაც ისინი ადგიან (ადგილიდან: რუსეთის). დღეს მათ ასეთი შეკითხვა შემოიტანეს და თუ ასეთი მიზანი არ ექნებოდათ სხვა რაიმე მოსაზრებით მოახერხებდნენ ამგვარი შეკითხვების შემოტანას.

ფორმალურათ მინისტრმა გასცა პასუხი. შეკითხვაში ხაზ-გასმით იყო აღნიშნული, რომ კანონი დარღვეულია, შინაგან საქმეთა სამინისტრო სასამართლოს განუსჯელათ ატუსაღებს ხალხსო. მინისტრმა გვითხრა, რომ 2 აგვისტოს კანონის ძალით შინაგან საქმეთა მინისტრს უფლება აქვს მიიღოს ზომები, ყველა ჩვენ რესპუბლიკის მოღალატეების წინააღმდეგ და ჩვენმა პარლამენტმა მიიღო დროებით ეს კანონები. მართალია, სავალდებულო არ არის როგორც ეტყობა შემკითხველებისთვის პარლამენტის დადგენილებანი, მაგრამ რატომ იმ პარლამენტს მიმართეს, რომელიც სრულიად არ სწამთ, არამედ ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგნიც არიან (გაბაშვილი ადგილიდან: თქვენ არ შემოგვყავნეთ ეგენი?). ჩვენ, ბატონო გაბაშვილო, პარლამენტარისტები ვართ, თორემ არც თქვენ შემოგიყვანდით (ტაში). ეს შეკითხვა არის პოლიტიკური ცინიზმი, მიმართვა იმ პარლამენტისადმი, რომლის კანონსაც მუდამ ფეხ-ქვეშ თელავენ არსებითად ბატ. თარხნოვი-ექუთნის ეგრეთ წოდებულ მემარცხენე სოც.-რევოლ. პარტიის. მე არ ვიცი გულში მას რა უდევს, მხოლოდ ვეჭვარები იმ დებულებას, რომელიც მათ ჰქონდათ. ესენი იდგნენ ტერორის ნიადაგზე. თუ პოლიტიკური ტერორი არის დასაშვები, თუ სურთ ააფეთქონ ქვის ხიდი და იმავე დროს თხოულობენ ჩვენგან სასამართლოს გარეშე არ დავატუსაღოთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ისინი გულუბრყვილოთ გვთვლიან (ტაში).

შეიძლება ის პირნი, ვისაც ექომაგებიან რაიმე ღირსებულებას წარმოადგენდენ და გრძნობა ალაპარაკებდეთ მათდამი. თუ ამაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ ბუდუ მდივანთან ერთად ჩვენ გვიმუშავია და ეს გრძობა ჩვენ უფრო უნდა გვალაპარაკებდეს. ისინი რასაც სჩადიან, შეუძლებელია. მათ გონიათ, რომ გურიის გლეხობა განვითარების დაბალ საფეხურზე სდგას და მხოლოდ ჯავის ოსობა და დუშეთის გლეხობა წარმოადგენენ ნიადაგს სოციალიზმის განსახორციელებლათ, ნუ თუ ბუდუ მდივნები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ დუშეთის ამბოხებაში, ღირსნი არიან შეწყნარების? მე მაგონდება თქმულება: მითხარ ვისი მეგობარი ხარ და გეტყვი ვინ ხარო (ტაში). ასეთ მეგობრობაზე თუ აშენებდნენ თავიანთ შეკითხვას მე არ ვიცი. მე კი მგონია მათ „სკანდალის" მოხდენა სურდათ. წავიდა დრო, როდესაც გლეხები მათ მისდევდა. დღეს გლეხები მიხვდნენ, რომ შეუძლებელია ამ გზით სოციალიზმის მიღწევა. მგონია, შემკითხველს, რომ მოეხსნა თავის შეკითხვა, კარგს იზამდა და იძულებულს არ გახდიდა გვეპასუხნა. (ტაში).

თ. შენგელია (ს. რ.) ეხება ადმინისტრაციის მოქმედებას, აღიარებს მის ნაკლს და საჭიროთ მიიჩნია მთავრობამ მიიღოს ზომები. აღიარებს აგრეთვე, რომ შემკითხველების არავითარი კავშირი არ აქვთ მასსასთან.

ნ. თარხნოვი (რუსულათ). ჩვენ არ ვართ წინააღმდეგ ადმინისტრატიულ ზომების, მხოლოდ საჭიროა ამას ნორმალურ კალაპოტში მიეცეს მსვლელობა. უფლება არ უნდა გადავაჭარბოთ ძალათ.

შ. მესხიშვილი. ალბათ ქართული ენის უცოდინრობით მოუვიდათ შემკითხველებს, რომ შეკითხვაში ერთს ამბობენ და აქ კი სხვა აზრს იცავენ. ალბათ, ვერ შესძლეს შეკითხვაში გამოეთქვათ ის, რაც სურდათ, ადმინისტრატიულ ზომების წინააღმდეგი არ არიან, მხოლოდ ეს ერთგვარ ნორმალურ კალაპოტში უნდა იქნეს ჩაყენებულიო. გამოდის, რომ საქართველოს მთავრობა რაღაც ამბოხების თვითნებობის მსურველი ყოფილა და თარხნოვს კი სურს გაამაგროს რესპუბლიკა. თუ ჩვენ ვერ მივაღწიეთ და ნორმალურ კალაპოტში ვერ ჩავაყენეთ ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა, ეს იმის ბრალია, რომ ეწევიან საშინელ აგიტაციას როდის მოისპობა ყველა ესო. მაშინ, როდესაც აილაგმებიან ის პირნი, ვინც ძირს უთხრიან ჩვენ ეროვნულ სახელმწიფოს. ბატონ თარხნოვს ჰგონია, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ნორმალურ პირობებში, ისინი ანგარიშს არ უწევენ ჩვენს რეალურ ცხოვრებას. მხოლოდ ერთ რამეში შეიძლება გვისაყვედურონ: ეს მთავრობის ლმობიერობაა. ეს კი აიხსნება მით, რომ დემოკრატია თვით ლმობიერია. მე მაგონდება ის დრო, როდესაც ამავე დარბაზში წინათ თარხნოვი მოგვიწოდებდა სისხლით და მახვილით გავმკლავებოდით ბოლშევიკებს. არ ვიცი, რომელ კანონში სწერია სისხლით და მახვილით გამკლავება. მაშინ მოითხოვდა ბოლშევიკების დევნას და ეხლა კი მათ იცავს.

კ. ნინიძე. ბატონ თარხნოვმა გაუგებრობა დაბადა თავის სიტყვით. გვაბრალებს, თითქოს ჩვენ გაურბოდეთ პირდაპირ პასუხის გაცემას. რასაკვირველია, არსად არიან ისეთი იურისტები, რომელნიც მომხრენი იყვნენ სასამართლოს გარეშე დატუსაღების. ჩვენ ნაძირალები გვებრძვიან, გვსურს რევოლიუციის მონაპოვარი შევინარჩუნოთ და ამ დროს ხელს ვერ ავაღებთ ადმინისტრატიულ წესით დასჯაზე. მე არა ვარ წინააღმდეგი ადმინისტრატიულ დასჯის, მხოლოთ სამართლიანობის გარანტია იქნას დაცულიო. მე ძალიან მწყინს, რომ იურისტი ასე მსჯელობს. სწორეთ სასამართლო არის მხოლოდ გარანტიები იქ, სადაც საქმის გამოსარკვევათ არსებობენ, მოსამართლენი, ნაფიცი მსაჯულები და სხვ. რევოლიუციონურ ხანაში ასეთ წესს ვერ მივყვებით. ნათქვამია, სჯობს ბევრი დამნაშავე განთავისუფლდეს, ვიდრე ერთი უდანაშაულო დაისაჯოსო. ჩვენ ეს რევოლიუციის დროს უკუღმა უნდა შევატრიალოთ. ეს ბრძოლის პროცესში დასაშვებია, იმ პირთა ასალაგმავათ, რომელნიც არღვევენ ჩვენს რესპუბლიკას. აქ თქვეს, რომ ეს ცილის წამებააო. მე ძალიან შორს ვარ, რომ მათ ჯგუფს რაიმე კონკრეტიული დანაშაულობა დავსწამო. ჩვენი მთავრობა ლმობიერია, მაგრამ არც იმდენათ, რომ თარხნოვები დამნაშავენი იყვნენ და ისინი აქ დასტოვონ. ბატონი თარხნოვი ამბობს, რომ ძველ დროს არ ხდებოდა ესაო და ბრალდებას ყოველთვის დროზე უყენებდნენო. ძალიან სამწუხაროა, რომ ბ-ნი თარხნოვი ციხეში არ მჯდარა, თორემ გამოცდილებით დარწმუნდებოდა, რომ ეს ასე არ ხდებოდა. მე არ ვიტყვი, თუ რამდენათ არიან ესენი ჩვენი მტრები, მხოლოთ არიან ესენი სოციალისტების ქურქში გახვეულნი და აწარმოებენ აგიტაციას ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ამ შეკითხვასაც ასეთი ხასიათი ჰქონდა.

ნინიძეს შემდეგ ლაპარაკობენ მაჭავარიანი და რცხილაძე, რომელნიც აკრიტიკებენ შემკითხველთა ავტორებს.

კამათი შესწყდა.

პარლამენტმა დიდი ხმის უმეტესობით მიიღო წინადადება: მოისმინა რა შეკითხვა, სავსებით კმაყოფილდება პარლამენტი მთავრობის განმარტებით და გადადის მორიგ საქმეებზე.

## რუსეთის ცხოვრება

### ახალი მთავრობის შექმნის პრობლემა.

კადეტების ყრილობაზე, რომელიც მოხდა ეკატერინოდარში, მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია, ახალი მთავრობის შექმნის საკითხის შესახებ (მოგვყავს შემოკლებით):

„რუსეთის საერთაშორისო პოლიტიკის მიზანი უნდა იყვეს, ცნობა რუსეთის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა ყველა იმ ოლქებზე, რომლებიც შედიოდენ მასში 1917 წლის 25 ოქტომბრამდე, როცა ბოლშევიკების მიერ ძალა უფლების ხელში ჩაგდებამ წაართვა ფაქტიურად რუსეთს შესაძლებლობა ამ სუვერენიტეტის დაცვისა, რაზედაც კანონიერი მთავრობა რუსეთისა არასდროს უარს არ ამბობდა. მხოლოდ პოლონეთის მიმართ დროებითი მთავრობის სახით რუსეთმა გამოსთქვა, რომ ის მზადაა მის სუვერენობაზე უარი სთქვას და ეს გადაწყვეტილება დროებითი მთავრობისა უნდა დარჩეს ძალაში".

## ს.-დემ. პარტიაში

ხიდისთავი (გურია). 20 ოქტომბერს შესდგა ხიდისთავს რაიონული პარტიული კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ის. ლომთათიძე. კრების საგანს შეადგენს: 1) გათვალისწინება და მსჯელობა გამოქვეყნებულ პარტიულ ყრილობის დღის წეს-რიგის შესახებ. 2) პარტიულ ყრილობაზე დელეგატის არჩევა და სხვა კითხვები. კოლექტივის თავმჯდომარე აკეთებს მოკლე მოხსენებას ყველა იმ მთავარ კითხვაზე, რომელიც გარჩეულ უნდა იქნას მომავალ პარტიულ ყრილობაზე. მოხსენების შემდეგ იმართება კამათი. საქართველოს დამფუძნებელ კრების მოწვევის შესახებ კრება ღებულობს შემდეგ რეზოლიუციას: ხიდისთავის რაიონული პარტიული კრება უპირველესად სრულ ნდობას უცხადებს საქართველოს პარლამენტს, მაგრამ ვინაიდან მისი არჩევნების დროს არ ყოფილა დემოკრატიის მიერ მოპოებული ყველა საარჩევნო ფორმები დაცული, რაიც საპროვოკაციო მასალათ გაიხადეს რევოლიუციის და რესპუბლიკის მტრებმა, საჭიროდ მიგვაჩნია მოწვეულ იქნას ხალხის სრული ნების გამომხატველი საქ. დამფ. კრება. ხოლო მოწვევის დროს განსაზღვრას კრება ანდობს ხელმძღვანელ ორგანოებს. დიდ კამათს იწვევს მიწის საკითხი. პირველი რიგი ორატორებისა სავსებით იზიარებენ იმ აზრს, რომელიც ჩვენს პარტიულ წრეებში ტრიალებს, ე. ი. შექმნილ პირობების გამო საკითხში დათმობას და მიწის კერძო საკუთრებათ გადაცემას მშრომელ გლეხობისადმი. მეორენი ანგარიშს უწევენ რა ამ ბოლო დროს ობიექტიური პირობების საერთაშორისო მაშტაბით დემოკრატიის სასარგებლოდ შეცვლას და კერძოდ გერმანიაში მომხდარ პოლიტიკურ გადატრიალებას, რომელიც თავდებია ჩვენში არსებულ თავისუფალ წყობილების განმტკიცებისა, გამოდიან რა ყველა ამიდან, საჭიროდ აღიარებენ დარჩეს ძალაში აგრარულ საკითხში ძველი მუხლი, ვინაიდან მუნიციპალიზაცია საუკეთესო ფორმაა სოციალისტურ ურთიერთობაში უმტკივნეულოდ გადასასვლელად. ხმის უმეტესობით კრება ღებულობს პირველს, ე. ი. ვუწევთ რა ანგარიშს ობიექტიურ პირობებს საჭიროდ მიგვაჩნია მიწა გადაეცეს საკუთრებათ მშრომელ გლეხობას. მუშათა საკითხის შესახებ კრება სრულ იმედს გამოსთქვამს, რომ ყრილობა დიდს ყურადღებას მიაქცევს ამ საკითხს და მას დაუდებს საფუძვლად როგორც მუშათა კეთილდღეობას, ისე წარმოების განვითარების წარმატებას. პარტიებთან დამოკიდებულების შესახებ კრება ღებულობს შემდეგს: გამოვდივართ რა საქმიანობის პრინციპიდან, საჭიროთ მიგვაჩნია თანამშრომლობა იმ სოციალისტურ პარტიებთან, რომლებიც მთელი თავისი არსებით დაინტერესებულნი არიან ჩვენი თავისუფალ წყობილების განმტკიცებაში. თანამშრომლობის ფარგალი კი ჩვენ პარტიულ პრინციპებს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს.

კრება უსურვებს ყრილობას მედგარი ხმის ამოღებას ინტერნაციონალის აღდგენის შესახებ. უკვე დაჰკრა ჟამმა, როცა მუშათა საერთო, დღეს დანგრეულ ოჯახის აღსადგენათ მთელი ჩვენი შემოქმედებითი უნარით უნდა შევუდგეთ.

ყრილობაზე დელეგატის გაგზავნის შესახებ კრება მსჯელობს, ითვალისწინებს რა მოსალოდნელ დიდ ხარჯებს, დელეგატის გაგზავნას ანდობს ცენტრალურ კომიტეტს, რომელიც შეეცდება ნაკლები დელეგატების გაგზავნით ხარჯები შეამციროს. შ.

## პროვინცია

სად. მოლითი. აქ არსებობს წიგნთსაცავ სამკითხველო ი. წერეთლის და კ. ჩხეიძის სახელობისა, რომელიც ღარიბია, როგორც წიგნებით, ისე გაზეთებით. სამკითხველო ძალიან უყურადღებოთ არის მიტოვებული. გამოწერილი აქვთ ორიოდე გაზეთი და ისიც სამკითხველოში არც ერთი არ არის. ალახმა უწყის, თუ სად ინახება ეს გაზეთები. სამკითხველოს მკითხველი საზოგადოება ცოტა ჰყავს, ეს გარემოება აიხსნება მით, რომ სამკითხველოში რა დროსაც უნდა შეხვიდეთ მაგიდაზე გაზეთს ვერ ნახავთ. სამკითხველოს საქმე რომ კარგ ნიადაგზე იყოს დაყენებული, მკითხველი საზოგადოებაც ბლომათ ეყოლება. საჭიროა ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას სამკითხველოს გამგემ და თვით საზოგადოებამ, რათა გაზეთები არ იკარგებოდეს და თავის დროზე იყოს სამკითხველოში.

— სადგურის პირდაპირ მდ. ჩხერიმელაზე არის საურმე ხიდი, რომელიც ისეა დაზიანებული, რომ ყოვლად შეუძლებელია ამ ხიდზე მიმოსვლა. რამოდენიმე ხანია რაც ეს ხიდი ასეთ მდგომარეობაშია და არავინ—არავითარ ყურადღებას არ აქცევს. დროა მიექცეს ყურადღება ვისგანაც ჯერ არს.

— ავადმყოფობა გახშირდა. „ისპანიური" ავადმყოფობა მთელ სოფლებს მოედო. ხშირია სიკვდილი. წამლები არ იშოვება, რადგან თვით მოლითში აფთიაქი არ არის, ექიმზე და ფერშალზე ზედ-მეტია ლაპარაკი. დიდ გაჭირვებას განიცდიან სოფლები უექიმოთ და უფერშლოთ.

გ. სარგვეშელი.

## ფოსტა

ვალ. სამხონაძეს — შემოიარეთ რედაქციაში.


## განცხადებანი

პეტროგრადის უნივერსიტეტის სტუდენტი

ენების კარგათ მცოდნე, განსაკუთრებით ქართულისა და გერმანულის, ამზადებს მოწაფეებს გიმნაზიის ყველა კლასისათვის. მისამართის გაგება შეიძლება გაზეთ „შრომის" რედაქციაში, ი. ტატიშვილთან, ბარონის ქუჩა, № 16. (3—2)

ექიმი დიმიტრი იოსების ძე ჟორდანია

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, საშარდე მილის სივიწროვე, სიფილისი და მის შედეგები, 606—914 შეშხაპუნება. მიღება საღ. 5—7 ს. მისამართი: გორის ქ. (დიდუბე) № 6. ტელეფ. 1—04.

რენტგენისა და ელექტრონის სხივებით სამკურნალო კაბინეტი.

წითელი ჯვრის საზოგადოების და მიხეილის საავადმყოფოს რენტგენის კაბინეტის ყოფილი გამგე

დოქტორ ა. ვ. ლევენშტეინისა.

ავადმყოფები მიიღება შინაგან, ნერვებისა და ქალის ავადმყოფობა რენტგენოფოტოგრაფია და ფიზიკური მეთოდი ექიმობისა წინასწარ ჩაწერით (დაჭრილები რიგ გარეშე). სპეციალური რენტგენო-დიაგნოსტიკა და ფიზიოტერაპ.-გულისა, ფილტვებისა, კუჭისა და ჭაჭების ავადმყოფობისა. მიღება 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქუჩა, სახლი № 5, ბინა № 3, ტელეფონი № 12—46.

ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი

(მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან სნ. ბავშვთა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმპოვიჩის აფთიაქის გვერდით.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. გ. მეგრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. ილებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალინოიდი და არსუვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8. საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

კბილის საექიმო კაბინეტები

თედორე ხაჭვარელის ძე ცხომელიძისა

ავადმყოფები მიიღება ყოვილდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

ექიმი მ. ა. შაფრანი.

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

ექიმი

იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე

ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, [illegible]

სამკურნალო კაბინეტი

ექიმ ალექსანდრე დავითის ძის

პეპელიასი

ილებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914—606 ის შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე

მახვილაძე

ილებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

ექიმი ბ. მ. მუხაძე

ილებს სტომატოლოგიურ ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: [illegible] მთავრის ქ. № 57; [illegible] შენობის პირდაპირ, [illegible] ტელ. № 5—77.

მიხეილის კერძო სამკურნალო

მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—35. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.

ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და საბებიო 10—11 ს., მ. ფ. მგალობლიშვილი ქირ. და ქალ. 11—12 ს., მ. ი. გაჩნაძე შინაგ. და საბავშვო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ. და ნერვ. დილის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., ქ. ვ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს. მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავადმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობლისა და ი. ნ. ტერ-აკოფოვის ზედამხედველობით.

ექ. ქალი რ. ბ. შიშლო-საბაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და [illegible] მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. ილებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით; დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხეილის პრ., № 119, სახლი ფურერის. ტელ. 9—26.

ექიმი

გ. გოლდშტეინი

ყოფილი ასისენტი ბარონ როტშილდის მთავარი თვალის გოსპიტლისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა. თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება დილის 8—11 ს. და საღამ. 5—8 ს. ნიკოლოზის ქ. № 32.

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 16—65

## სახელმწიფო თეატრი

ოპერა

სამშაბათს 19 ნოემბერს, ტ. ი. საბანეევას, ტ. ორდას და ბერეზინის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება **ფაუსტი** ოპერა 5 მოქმედებათ მუსიკა გუნოსა.

ფასები ძლიერ დაწეულია. დასაწყისი საღ. 8 საათ. (ძველი დროით).

ანონსი: ოთხშაბათს, 20 ნოემბერს, „ევგენი ონეგინი". ხუთშაბათს, 21 ნოემბერს, „ჰუგენოტი".

ბაქოს ორგ. სოც. დემ. მუშ. პარტიის (მენშევიკების) საყურადღებოთ

ნოემბრის 1-ლ რიცხვებში შესდგა ბაქოდან ჩამოსულ, მენშევიკურ ორგანიზაციის

## წევრთა კრება

რომელმაც გამოყო თავიანთ შორის ოთხი პირისაგან შემდგარი კომისია. კრებამ დაავალა კომისიას: 1) მატერიალური დახმარების აღმოჩენა ბაქოდგან გადმოხვეწილ ამხანაგებს, 2) ბინების საკითხის მოგვარება, 3) ალაგის შოვნა უალაგოთათვის. ის წევრები, რომლებიც საჭიროებენ კომისიის დახმარებას, უნდა მიმართონ განცხადებით კომისიას. შემდეგი მისამართით: თფილისის საქონლის სადგურის სალარო, დიმიტრი აბაშიძე. (2—2)

## საჯარო ვაჭრობა.

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ სამშაბათს, 26 ნოემბერს, გამგეობის თანდასწრებით მოხდება

## საჯარო ვაჭრობა.

იჯარით გაიცემა ავლაბრის აგარაკზე მდებარე ქალაქის საბალახო ადგილები. კონდიციებისა და ყოველივე ცნობის მიღება შეიძლება სამეცადინო საათების დროს თვითმართველობის საიჯარო-სადგილ-მამულო განყოფილების კანცელარიაში.

## ცენტრალური სასურსათო საბჭო

(მადათოვის ქ. № 3 ყოფილი სასურსათო სამინისტრო) ამით აცხადებს საზოგადო დაწესებულებათა და კერძო პირთა საყურადღებოდ, რომ მსურველთ შეუძლიათ შეიძინონ ხსენებულ საბჭოში

## მარცვლოვანი მარილი დაწესებულ ფასებში

მარილის მიღება შეიძლება ქ. თფილისში და ქ. ფოთში. (10—5)


სწრაფულ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.